წელიწადი მესამე
ფასი 7 კაპ.
შაბათი, 21 იანვარი, 1917 წ. № 16

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი

ჩვეულებრივი სტრიქონი—პირველ გვერდზე პეტიტზე [illegible] კ., უკანასკნელზე—20 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ეღირება 50 კ. 4-ზე 30 კ., ტექსტში—80 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 6 მ.; 20×2 ღირს 8მ., 25×2 ღირს 10მ. 3 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ეღირ. მეტი.
დამატებიანი № ღირს ყველგან 10 კაპ.

ყოველდღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

„საქართველო“

ყოველკვირეულ სურათებიან დამატებით ღირს:
მთელის წლით—15 მან., ნახევარის წლით—9 მან., სამის თვით—5 მან., ერთის თვით—1 მ. 80 კაპ. ფოსტით ერთი თვით გაზეთის გამოწერა არ იქნება.

წლიურ ხელის მოწერის ფასი შეიძლება ნაწილ-ნაწილად იქნას გარდახდილი შემდეგის წესით: ხელის მოწერის დროს—7 მან.; პირველ მარტისთვის 5 მან. და პირველ ივნისისთვის 3 მან. ვისაც წლიურად სურს გაზეთის გაწერა, ეს უნდა მოიხსენიოს პირველსავე ხელის მოწერის დროს. მისამართის გამოცვლისათვის ქალაქგარეთულმა ხელის მომწერმა უნდა წარმოადგინოს 50 კ. ფოსტის მარკა.

რედაქციის მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქ. № 4. ანუ ფოსტის ყუთი № 76 (почт. ящикъ № 76)
კანტორა ღიაა: დილით—9-ან—3 საათამდე, საღამოს—5-ან—7 საათამდე.

რედაქტორი: სანდრო შანშიაშვილი.
გამომცემელი: ამხანაგობა „საქართველო“.

დილის წარმოდგენა
ახალ კლუბის შენობაში

კვირას, 22 იანვარს, ქართულ დრამატიულ საზოგ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება: **ქრისტინე** დრ. 4 მოქ. ა. ირეთელისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: აბაშიძე, დავითაშვილი, ქიქოძე, ქილარჯიშვილი, შოთაძე, ჯავახიშვილი, ბ-ნნი: იმედელი, აბაშიძე, ბარველი, გვარაძე, ფრონისპირელი, ზარდალიშვილი, თარალაშვილი, ჩაგუნავა, ნინიძე, კობახიძე.

ადგილების ფასი 170—50 კ.-მდე. ✦ დასაწ. დილის 12 საათზე.

ადმინისტრაცია ქართ. დრამ. საზოგადოებისა.

(3—524—1)

ხარფუხის საზოგადო კლუბი
(მიხეილის პროსპექტი, № 163, საზამთრო შენობა)

შაბათს, 21 იანვარს,

სინემატოგრაფი
სიმებიანი ორკესტრი

სტუმრები საზოგადო წესით. ✦ დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.

(1—526—1)

ყრთად-ერთი სამხატვრო-სალიტერატურო-სათეატრო კვირეული ჟურნალი

თეატრი და ცხოვრება
(წელიწადი მეხუთე)

№ 4 შინაარსი:

1, მეთაური—ძმობა თუ მტრობა,
2, ივ. გომართელი—ფაშალიშვილი,
3, ილ. მოსაშვილი—ვარდი დამჭკნარი,
4, ვ. გუდიაშვილი—ქვრივის შვილი,
5, ხიო კალანდაძე—ის მიდიოდა,
6, ჰაზირა—აშუღების ნაღლი ანუ მარაქა,
7, იპო ჯინორიძე—ვნახე,
8, ბ. პელაშვილი—დღეს მე,
9, თიანელი—თეატრი,
10, გრ. ხაქარიქედელი—მოსე მწერალი,
11, მიშო—სოფლის ვარამი (ფეფაზიანის პიესა),
12, ვ. ჯაბაური—სახალხო თეატრის ისტორია,
13, გლეხი და ხოლოდაშვილი—მოწოლილი ნაღველი,
14, სხიობი, წვრილი ამბები, სურათები.

თითო ნომერი 15 კ. მიიღება 1917 წ. ხელის მოწერა. წლიურად ორი პრემიით 8 მ., ნახევარი წლით—4 მ. 50 კ., ხელის მოწერა შეიძლება „სორაპნის“ სტამბაში, თბილისში, მადათოვის კუნძულზე, № 1. ფოსტით—Тифлисъ, Ред. „Театри да Цховреба“—Іос. Имедашвили. (1—485—1)

მოიკითხეთ ყველგან!

გ. ლეონიძის
რედაქტორობით

ექიმი
გ. მ. მუხაძე
იღებს სადოსტაქრო ავადმყოფთ საღამოს 5-6 ს. მდე, კვირა დღეს გარდა მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ; სახლი სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
კალანდარიშვილი
უმცროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს ოლღის ქ. № 3.

ქ. თბილისი. 2 თებერვალი 1917 წ.
საიმპერატორო სამუსიკო სასწავლებლის საკონცერტო დარბაზი.

„ცისფერი ყანწები“
დიდი მხატვრული საღამო—ახალ ხელოვნებისა

I. პაოლო იაშვილი
წარმოსთქვამს:
„ცისფერი ყანწები—ჩვენი ახალი აღთქმა“

II. ვალერიან გაფრინდაშვილის
სიტყვა:
სტეფან მალარმე—თეთრი ოცნება.

III. ლექსთა თქმა.

1. ვალერიან გაფრინდაშვილი: „ძაღლის სიმღერა“, „სხვანაირი ტრფობა“, „მისტიური მარულა“, „არლანი“ და სხვ.
3. პაოლო იაშვილი: „წითელი ხარი“, ფარშავანგები ქალაქში“, „ელექიანი მისალმება ზამთარს“, „სონეტი ორსართულიანი“, სონეტი საქართველოს“ და სხვ.
4. ნიკოლოზ ნადირაძე: ლექსები წიგნიდან—„ავზნიანი ქალაქი“.
5. არ. ჰუმბაძე: „ლირიკული პოემები“.
6. გრ. ჯაფარი: „თეთრი ლექსები“.
7. ლელი ჯაფარიძე: „ნამების ქმარი“, „დღესასწაულზედ“, „თეთრ ქუჩებში“, „ორსული მზე“, ლექსები რვეულიდან: „ტირილი მთვარისთვის“, „ჩემი დაბადება“ და სხვ.

IV.
ბოდლერის, ვერლენის, მალარმეს, რემბოს, როლინის, კორბიერის, ვერჰარნის, უაილდის, ბალმონტის, ბლოკის, ანდრეი ბელლის ლექსთა საკუთარ თარგმანებს და გრ. რობაქიძის, ტიტე ტაბიძის, ელენე დარიანის ლექსებს წარმოსთქვამენ:
ვალ. გაფრინდაშვილი, პაოლო იაშვილი, ნიკოლოზ ნადირაძე, გრ ჯაფარი, ლელი ჯაფარიძე.

საღამო გაიხსნება 8 საათსა და 10 წუთზე.

ბილეთებზედ წინასწარი ჩაწერა შეიძლება ქართულ საჩაიეში.

ექიმი
ფონ-ირტელი
(მიხეილოვის პროსპ. 128, კრილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესავალი კრილოვის ქუჩიდან, სახლი ოჰანეზოვისა).

მოხკოვის სახაზინო საავადმყოფოს ყოფილი ორდინატორი, სპეციალისტი დოსტაქრობისა, საშარდე მილისა, სქესობრივი ორგანოებისა, სიფილისისა და მის შედეგებისა (საშარდე მილის დავიწროება), სქესობრივი უძლურებისა, სიმსივნისა, ჭრილობისა, ბუასილისა, თეთრანასი, საშარდე ბუშტის სნეულებისა და საშვილოსნოსი. ორივე სქესის ავადმყოფების მიღება ხდება დილის 9½-დან 1 საათამდე და ნაშუადღევის 5—9 საათამდე.

ერლიხის „914“ და „606“
შეშხაპუნება

ექიმი
მ. ი. ვაჩნაძე
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (თ.—202—)

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩაკუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

ახალი აფთიაქი
პროვიზორის ახვლედიანისა

ექიმი
პ. ი. გვარჯალაძე
შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა. ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელეფ. 15—00.

ექიმი
მ. გ. ვეფხვაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

ექიმი
ივანე თიკანაძე
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: კიროჩნის ქუჩა, 18.
ტელეფონი № 11—82.

საერთაშორისო მდგომარეობა

დიდ ევროპულ ომს დღემდე ორი მთავარი ღერძი ჰქონდა: საფრანგეთ-გერმანეთისა და რუსეთ-გერმანეთის ფრონტი. უმძაფრესი შეტაკებანი ამ ფრონტებზე ხდებოდა და აქ გადაწყდა რამოდენიმე პატარა ერისა თუ სახელმწიფოს ბედი. ინგლისი უფრო დამხმარე, ეპიზოდურ როლს ასრულებდა: თავის ხელმოკლე მოკავშირეთ ფინანსიურ დახმარებას უწევდა, გერმანეთის საზღვაო ნაპირებს დარაჯად უდგა, რათა მტრის ტერიტორია სავსებით მოწყვეტილი ყოფილიყო მსოფლიო ბაზარსა და ეკონომიურ ცხოვრებას. მართალია, საფრანგეთის ფრონტზე ინგლისელთა რაზმებიც იბრძოდნენ, მაგრამ თვით დიდი ბრიტანეთის მთავრობა ამ საექსპედიციო ჯარს ისეთ მნიშვნელობას არ აძლევდა, როგორსაც გერმანეთის საზღვაო ბლოკადას. თვით გერმანელებიც ბოლო დრომდე იმ აზრს ადგნენ, რომ შეიძლება დიდი ევროპული ომი ისე დამთავრდეს, რომ ინგლის-გერმანეთის შორის არავითარი გადამწყვეტი შეტაკება არ მოხდესო. ეს შეხედულება, სხვათა შორის, პროფესორმა დელბრიუკმა გამოსთქვა ერთ უმნიშვნელოვანეს გერმანულ პოლიტიკურ ჟურნალში.

უკანასკნელ დროის ამბებმა ორივე მხარის იმედები გააცრუვა: როგორც ინგლისელებისა, ისე გერმანელებისა. ერთი მხრით გამოაშკარავდა, რომ საზღვაო ბლოკადა ისეთი გავლენიანი იარაღი არ ყოფილა, რომ მის შემწეობით გერმანეთის მოდრეკა შეიძლებოდეს. გასაოცარი საორგანიზაციო ნიჭის შეწყობით გერმანელმა ერმა თავიდან აიცდინა როგორც სიმშილის საფრთხე, ისე წარმოების მოსალოდნელი კრახი. როგორცა სჩანს ბეტმან ჰოლვეგის ერთ-ერთ უკანასკნელ სიტყვიდან, იმპერიის კანცლერმა შობის წინა დღეებში რეიხსტაგში რომ წარმოსთქვა, დამუშავებულ მამულის სივრცე, ომის წინანდელ დროსთან შედარებით, ცოტათი კიდეც გადიდებულა გერმანეთში; რუმინეთში დაპყრობილ ნადავლს კი საბოლოოდ გადაუწყვეტია სასურსათო საკითხი. ასე რომ უკანასკნელ ცნობათა და გამოკვლევათა მიხედვით გერმანეთში ზოგიერთი უმთავრესი საკვები მასალა ოდნავ გაიაფებულა.

მაგრამ თუ ინგლისმა დღემდე გერმანეთს ქედი ვერ მოახრევინა, ჯერჯერობით ვერც გერმანეთმა შესძლო ამაყი ალბიონი მუხლზე დაეჩოქებინა. ვილჰელმ მეორის საზავო წინადადებას არცერთი მოწინააღმდეგე არ შეხვედრია ისე მკაცრად და უკმეხად, როგორც ინგლისი შეხვდა. ეს ადვილი გასაგებია. მართალია, დიდ ბრიტანეთის იმპერია დღესდღეობით არაფერს ჰკარგავს, თუ სამშვიდობო მოლაპარაკებას საფუძვლად არსებული სამხედრო რუკა დაედო: გერმანელ ლაშქარს ჯერ კიდევ არაფერი დაუპყრია არც ინგლისის მეტროპოლიისა, არც მის ახალშენებში. მაგრამ, როგორცა სჩანს, ინგლისელ ერის პოლიტიკური წინამძღოლები მარტოოდენ დღევანდელ ან ხვალინდელ დღისთვის როდი ჰფიქრობენ. მათ მერმისიც ალონებსთ. თუ გერმანეთმა ბელგეთის ტერიტორია სავსებით არ დასცალა, მას, შეიძლება ხელში შერჩეს ის დამბაჩა, რომელიც, ნაპოლეონის სიტყვით, ინგლისის მკერდ საკენაა მიშვერილი: სახელდობ, ანტვერპენი და ბელგეთის ფლანდრია. ანტვერპენი გერმანულ სავაჭრო და საქონლის საწყობ ადგილად იქცა უკანასკნელ წლებში, ინგლისის მსოფლიო ბატონობისათვის დიდათ სახიფათო იქნება, თუ ეს ქალაქი ან სხვა რომელიმე ნავთსადგური ბელგეთისა საბოლოოდ გერმანეთმა შეიერთა. საზოგადოდ, თანამედროვე დიდმა ომმა გამოაშკარავა, რომ მრავალერიანი სახელმწიფოები, ცოტა არ იყოს, ჰიქის ფეხიან ბუმბერაზებს წააგვანან და მათ დიდი მზრუნველობა მართებსთ, რომ ერთმა ძლიერმა შემოკვრამ მთელი შენობა არ დაშალოს. დიდ ბრიტანეთის იმპერია კი სწორედ მრავალი ერებისა და ტომებისაგან შეკოწიწებული შენობაა და გასაკვირალი არ არის, რომ მისი მმართველები სხვებზე მეტად ზრუნავენ სახიფათო მომავლისათვის.

თანამედროვე ევროპული ომი, რომელიც კონტინენტზე დაიწყო, ნელნელა ატლანტიურ ზღვისკენ ინაცვლებს და ინგლის-გერმანეთის ორთა ბრძოლის ხასიათს იღებს. როგორც უკანასკნელი დეპეშებიდანა სჩანს, ინგლისის მთავრობა აპირებს კიდევ უფრო გააძლიეროს გერმანეთის ნაპირების ბლოკადა. მეორე მხრით, გერმანეთი თავის წყალქვეშა ფლოტს საგრძნობლად აფართოვებს, როგორც რაოდენობის, ისე სამოქმედო ასპარეზის მხრივ. ისე დღე არ გავა, რომ გერმანელმა წყალქვეშა ნავებმა რამოდენიმე ინგლისური სამხედრო თუ სავაჭრო ხომალდი არ დაპლუპონ. შესაძლებელია, რომ მიმდინარე წელიწადში ზღვაში მნიშვნელოვანი შეტაკებები მოხდეს: ამის წინასწარს ნიშანს, სხვათა შორის, ჰოლანდიის ნაპირებთან მომხდარი ბრძოლა და სუფოლკზე თავდასხმა წარმოადგენს.

ინგლისის პრემიერ მინისტრმა ლლოიდ ჯორჯმა ერთს თავის საჯარო სიტყვაში სხარტულად გამოჰხატა დიდი ბრიტანეთის როლის გაძლიერება საერთაშორისო ბრძოლაში. „რომის კონფერენციის დროსო,—სთქვა ორატორმა,—მოკავშირეთა შორის კიდევ უფრო განმტკიცდა ის რწმენა, რომ მოკავშირეებს შეუძლიათ ინგლისს დაეყრდნონ. ჩვენი ფლოტი ალრჩობს გერმანეთსა და მის ალებმიცემობას, იმ მეკობრეების მიუხედავად, რომელიც ჩვენმა მოწინააღმდეგემ ზღვაში გამოუშვა. ჩვენი მოკავშირეები სასოებით შეჰყურებენ დიდს ბრიტანეთს და მისს დაუშრეტელ ძალას. ჩვენი სამშობლო მათს თვალში თვალმიუწვდენელ ციხე-კოშკს წააგავს, რომელიც უფსკრულიდან ცაში ებჯინება. ინგლისი თანდათან ჩაგრულთა ნუგეშად და მჩაგვრელთა სასოწარკვეთილების წყაროდ ჰხდება“.

რადგან ინგლისის ასეთი თავგამოდება, უწინარეს ყოვლისა, გერმანეთის დასავლეთ საზღვრებისთვისაა საშიში, გასაკვირალი არ არის, რომ გერმანეთი ბოლო დროს საფრანგეთ-ბელგეთის ფრონტს მეტს ყურადღებას აქცევს. ამ ფრონტის ლიკვიდაცია ნიადაგს გამოაცლიდა ინგლისის მუქარას. შეიძლება, ამით აიხსნებოდეს ის გარემოება, რომ ბოლო დროს ასეთის დაჟინებით ლაპარაკობენ გერმანელ ჯარის მიერ შვეიცარიის ნეიტრალიტეტის დარღვევაზე. შვეიცარიის გადალახვამ, შეიძლება, მართლაც მნიშვნელოვანი სამხედრო წარმატება მიანიჭოს გერმანეთს. მას შეუძლია ბაზელის მიმართულებით დიჟონისა, ოტენისა და კრეზოსკენ გაილაშქროს ისე, რომ შვეიცარიის მიუდგომელი მთები მარცხნივ დასტოვოს, ხოლო საფრანგეთის მიუდგომელი ციხე-სიმაგრე ბელფორი—მარჯვნივ. კრეზო საფრანგეთის გეოგრაფიულ შუაგულსაც წარმოადგენს და მის სამხედრო წარმოების უმთავრეს ადგილსაც. ასე რომ მისი დაკარგვა წელში გასწყვეტს საფრანგეთს.

მაგრამ, შეიძლება, რომ გერმანეთი შეუშინდეს იმ ზნეობრივ საფრთხეს, რომელსაც შვეიცარიის ნეიტრალიტეტის დარღვევა წარმოადგენს. ბელგეთისა და საბერძნეთის მაგალითებმა ნათელ ჰყო, რომ ზნეობრივ დანაკლისს ხშირად ველარ იწონის თვით უმნიშვნელოვანესი სამხედრო წარმატება.

ვ ლელიანი.

ომის ამბები

ბრძოლის ველზე

კალნცემ-შლოკის ხაზზე, ოფიციალ დეპეშის გადმოცემით რუსეთის ჯარს უკანვე დაუბრუნებია წინა დღეს დაკარგული სანგრები და ამის შემდეგ ბრძოლაც დამცხრალა. გერმანელთ იერიშებზე, ცხადია, ხელი აუღიათ. თუ დავაკვირდებით საზოგადოთ ამ მიდამოში ომის მსვლელობას, ჩვენ დავინახავთ, რომ აქ ფართო ოპერაციას ადგილი არ უნდა ჰქონდეს. შეიძლება, მოპირდაპირემ კვლავ განაახლოს შეტევა, მაგრამ ამას მაინც ადგილობრივი ხასიათი ექნება.

კიმპოლუნგის სამხრეთ-დასავლეთით, სახელდობრ სოფ. იაკობენისთან, ავსტრიელთ საპასუხო იერიში მოუტანიათ, მაგრამ რუსებს მოუგერებიათ. როგორც ვიცით, სწორედ ამ ადგილას რუსებმა ორჯელ გაარღვიეს ბრძოლის ხაზი და 2000 მეტი ტყვეც წამოიყვანეს.

საზოგადოდ, ბრძოლის ველზე მყუდროება უფრო მტკიცდება, რაც მოპირდაპირეთა ინტენსიურ მზადებას მოასწავებს მომავალ გადამწყვეტ ბრძოლისათვის.

X.

ომის დეპეშები

20 იანვარი.

უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.

პეტროგრადი. დასავლეთის ასპარეზი. კალნცემის გზატკეცილის აღმოსავლეთით სამაგიერო იერიშით გერმანელები გავდევნეთ გუშინ დაჭერილ სანგრებიდან, რის შემდეგაც ამ ბრძოლის ხაზზე სიწყნარე ჩამოვარდა, მხოლოდ ზარბაზნების სროლაა. ამგვარად გერმანელების მიერ გამორღვეული ხაზი სრულებით გავანთავისუფლეთ გერმანელებისაგან და მეტის მეტად მძიმე ბრძოლით, ყინვა-ყიამათსა, და მახრჩობელ გაზში გახვეულთ კვლავ დავიჭირეთ ჩვენი სანგრები. ჩვენმა მფრინავებმა ბევრნს ყუმბარები დაჰყარეს, ილლიუკსტის ჩრდილო-დასავლეთით 20 ვერსზე. ამ მიდამოებში ჩვენი მფრინავი მტრის მფრინავს შეება და ილლიუკსტის ჩრდილო-დასავლეთ თ 10 ვერსზე იძულებული ჰყო დაშვებულიყო. გერმანელმა მფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს პოსტავის სამხრეთ-დასავლეთით 20 ვერსზე მდებარე ტეპლიას მიდამოებს.

რუმინეთის ასპარეზი. მოპირდაპირემ 17 იანვარს ღამე 3 იერიში მიიტანა კიმპოლუნგის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე დაბა იაკობენის აღმოსავლეთით 2 ვერსზე მდებარე მაღლობებზე, მაგრამ დიდად დაზარალებული უკუ ვაგდეთ. 17 იანვარს, სოფ. იაკობენის აღმოსავლეთით დავატყვევეთ 11 აფიცერი და 1000 ჯარისკაცი, ხელთ ვიგდეთ 10 ტყვიისმფრქვეველი, 1 ზარბაზანი, ნაღმისა და ტყვიისმტყორცნელები.

კავკასიის ასპარეზზე ქარიშხალი და ნამქერებია.

შავი ზღვა. ჩვენმა გემებმა ანატოლიის სანაპიროებთან დაატყვევეს 5 სანდალი, ამათგან 3 მოტორიანია.

საფრანგეთი.

19 იანვარი.

პარიზი. ბერლინის ცნობებით, გერმანეთს შარშან 221 საფრენი დაეღუპა. ჰავასის სააგენტო კი ამტკიცებს, მხოლოდ ფრანგებმა 417 საფრენი და 29 დაბმული შარი დაუღუპესო. ამას გარდა ფრანგებს შეუმჩნევიათ, რომ 195 საფრენი დაზიანებული დაშვებულა.

პარიზი. ბერლინიდან დეპეშით იტყობინებიან: ლუქსემბურგის საგარეო საქმეთა მინისტრმა პალატაში განაცხადა: ომის დასაწყისში სეფე სიტყვაში მთელი კაცობრიობის წინაშე განვაცხადეთ ჩვენი უფლებანი. თუმცა ამ უფლებათ ანგარიში არ გაუწიეს, მაგრამ კვლავ შეურყევლად დარჩა. უდიდეს ჰერცოგინიას პროტესტს თავისი ძალა არ დაუკარგავს. ამ დარგში არავითარი დათმობა არ შეგვიძლიან და არც ერთს შემთხვევაში არ გავუშვებთ, რომ ჩვენი მიწა-წყალის და ჩვენი სარწმუნოების ხელშეუხლებლობა არ განვამტკიცოთ ხელშეკრულებათა ძალით.

20 იანვარი.

პარიზი. საღამოს ოფიც. ცნობა. რეიმსის აღმოსავლეთით და მაასის მარჯვენა კიდეზე, მთელი დღე მედგარა სროლა იყო ზარბაზნებისა.

პარიზი. დღის ოფიც. ცნობა. რეიმსის აღმოსავლეთით და ალტკირსის ჩრდილოეთ მიდამოებში მზვერავთა შეჯახება იყო. დანარჩენ ასპარეზზე ღამემ წყნარად ჩაიარა.

პრაპორ. მადონმა გერმანელების საფრენი ჩამოაგდო. 17 იანვარს ღამე ჩვენმა მფრინავმა ყუმბარები დაუშინა რკინის გზის სადგურს და მტრის საწყობებს კიურჯსა, ვუაჯნსა და ნოვლის აღმოსავლეთით მდებარე დროებითს ბანაკს. მენილსენ-ნიკეზესა და სომაზე მდებარე ერლის ჩვენმა მფრინავმა 50 ყუმბარა ესროლა.

20 იანვარი.

ლონდონი. გარემოცვის მინისტრმა სესსილმა ნოტინჰემში განაცხადა: „უსაფუძვლოა ის აზრი, ვითომც მხოლოდ გარემოცვის მეოხებით შეიძლებოდეს გამარჯვების მოპოება. ომის ბედი ბრძოლის ველზე გადაწყდება, თუმცა გარემოცვაც თვალსაჩინოდ ხელს შეუწყობს მას. უმთავრესი სიძნელე გარემოცვი განხორციელებისა გახლავთ სრული გარემოცვის მოწყობა მეგობარ და ნეიტრალ სახელმწიფოთა მოუმდურებლად. გარემოცვამ მოსპო მტრის საზღვაო აღებმიცემობა ნეიტრალ სახელმწიფოებთან. მოპირდაპირეს აღარა აქვს არც რეზინი, არც მატყლი, არც ბამბა. ფეხსაცმელს ქაღალდისას ამზადებს. გარემოცვა მარჯვედ მიდის და ამ საქმეში უპირველესი ღვაწლი, ცხადია, საზღვაო ძალას ეკუთვნისო“.

შვეცია.

19 იანვარი.

ხტოკჰოლმი. სოციალისტმა დეპუტატმა პალკერნმა რიკსტაგში პროექტი შეიტანა სკანდინავიის სახელმწიფოთა შორის ეკონომიურ ურთიერთობის გაფართოვებისა. პროექტით ნავანავარაუდევია სკანდინავიის სახელმწიფოთა სადამოჟნო კავშირი.

ბელგია.

20 იანვარი.

ჰავრი. ბელგიის ოფიც. ცნობა პერვიზის აღმოსავლეთით და ნორდხოსტეს სამხრეთით გერმანელები უნაყოფოდ სცდილობდნენ ზარბაზნების მედგარი დაშენის შემდეგ, ჩვენს წინ წაწევდილ სანგრებს მოახლოვებოდნენ, მაგრამ ზარბაზნებისა და ტყვიისმფრქვევლების სროლით მოვიგერიეთ. ზარბაზნების ცხარე სროლა სწარმოებდა დიუკსმუდოეს-ოტეენსტრეტის მიმართულებით.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ინგლისი.

დუვრის სრუტეში.

შარშან 13 ღვინობისთვეს გერმანელების ნაღმოსნები მიპარვით მიუხტნენ ინგლისის სინაპიროებს ლამანშის სრუტეში, დუვრის პირდაპირ და ერთი ტრანსპორტი დაუღუპეს. ამ ამბავმა მთელი ინგლისი ფეხზე დააყენა: მტერი ცხვირ წინ კადნიერად თავს გვესხმის, ტრანსპორტს გვიღუპავს, სჩანს ინგლისის სანაპიროები და კერძოდ დუვრის სრუტე შესაფერად ვერ არის გამაგრებული და ინგლის-საფრანგეთს შუა მიმოსვლა საფრთხეშიაო. მთავრობაც შეაფიქრიანა საზოგადოების აღშფოთებამ და გაზეთების წარმომადგენლები მოიწვია, თქვენის თვალით დაათვალიერეთ დუვრის სრუტე და იქ მდგომი მოდარაჯე გემებიო. გაზეთების წარმომადგენლებმა დაათვალიერეს ყოველისფერი და ნახული გაუზიარეს საზოგადოებას დასამშვიდებლად.

„ტაიმს“-ის თანამშრომელი სწერს: დუვრის ფლოტილიის დანიშნულება ისაა, რომ ლამანშის სრუტეში გერმანელების თარეშს ხელი შეუშალოს. ამისათვის ინგლისმა გერმანელების გემების მყუდრო ბუნაგი—ზეებრიუგის ნავთსადგური--ნაღმებით გარემოიცვა, მუდამ ყუმბარებს უშენენ საფრენებიდან და თუ გერმანელები მაინც გაჰბედვენ ზეებრიუგიდან გამოსვლას, ინგლისის გემები გზას ულობავენ ხოლმეო. თუ გარემოებამ ხელი შეუწყო და გერმანელების გემებმა მოახერხეს როდისმე ლამანშისაკენ გასხლტომა, დუვრის ფლოტს დავალებული აქვს მოიმწყვდიოს ლამანშის ვიწრო ყელში და დაატყვევოს.

თანამშრომელი მოდარაჯე გემით ლამანშის ვიწრო ყელისაკენ გამგზავრებულა და მთელი ღამე იქ გაუტარებია. მისი სიტყვით მოდარაჯე გემი დიდ ხარჯს თხოულობს; ერთხელ ზღვაში გასვლაზე თითო გემს უნდება სულ ცოტა 200—300 გირვანქა სტერლინგი 300—500 თუმნამდე. გემი შეუჩერებლივ მიმოდის. ლამანშში უნახავს 50 სხვა და სხვა ტიპის სამხედრო გემი.

ვიცე-ადმირალ ბეკონის ცნობებით ლამანშის სრუტეში 1916 წ. 29 მაისამდე, ექვს თვეში მოდარაჯე გემების თვალწინ გაუვლია 21 ათას გემს. აქედან 4 პროცენტი დაღუპულა (ე. ი. 820) და მათთან ერთად 77 აფიცერი და მეზღვაურიც.

საფრენების მოქმედება

ამერიკულ ჟურნალი „Scientidie American“-ი გადმოგვცემს, რომ ინგლისს 1916 წელს საფრენების საქმეზე ნახევარი მილიარდი მანათი დაუხარჯავს.

იმავე გაზეთის ცნობით შარშან მკათათვის 1 დან ენკენისთვის გასვლამდე ინგლისელებს დაუღუპიათ გერმანელების 132 საფრენი.

ამავე ხნის განმავლობაში მათ ფრანგ მფრინავებს მოპირდაპირისათვის სულ 1,526 ყუმბარა უსროლიათ.

იარაღის დამზადება

საფრანგეთში

„რ. ინ.“-ი საფრანგეთის გავლენიან წრეებიდან მიღებულ ცნობებს გვიზიარებს: ომის დაწყებისას საფრანგეთი სრულებით მოუმზადებელი იყო. მას არა ჰქონდა საკმაო მძიმე ზარბაზნები, ტყვიისმფრქვეველები, საფრენების მასალა. ამის გარდა გერმანელებმა რომ საფრანგეთის ჩრდილოეთი ნაწილი დაიპყრეს, ამით საფრანგეთს ხელიდან გამოაცალეს რვა მეათედი რკინისა, თუჯისა, ქვანახშირისა და ფოლადისა. ამის გამო საფრანგეთს ხშირდებოდა ნედლი მასალა და მისგან იარაღის დამზადებაც. ფოლადი, თუჯი, რკინა და სხვა უნდა შემოეზიდნა ინგლისიდან და შეერთებულ შტატებიდან. ბარიის დაპყრობით გერმანელებმა საფრანგეთს ხელიდან გამოაცალეს ყოველწლიურად 1096 მილიონი ფუთის მომცემი მადნეული მაღაროები.

საფრანგეთმა ააგო ახალი სამხედრო ქარხნები, შემოზიდა ნედლი მასალა და ერთ მილიონზე მეტი მუშა ხელი დაიტრიალა, მათ შორის ერთი მეოთხედი ქალებია. 1914 წელთან შედარებით საფრანგეთი ეხლა ყუმბარებს 40-ჯერ მეტს ამზადებს, ხოლო მძიმე ზარბაზნების ყუმბარებს კი 90-ჯერ მეტს. ზარბაზნებს 1914 წელთან შედარებით ამზადებს 30-ჯერ მეტს, მძიმე ზარბაზნებს, 24-ჯერ მეტს, თოფებს 30-ჯერ მეტს, ტყვიისმფრქვევლებს—170-ჯერ მეტს, თოფის წამალს 7-ჯერ მეტს, ასაფეთქებელ მასალას 40-ჯერ მეტს. ეხლა საფრანგეთი იმდენ იარაღსა და სასროლ მასალას ამზადებს, რომ უნაწილებს რუსეთს, რუმინეთს, იტალიას, ბელგიას და პორტუგალიას.

პოლონეთის სამეფო

ჟენევიდან იტყობინებიან: პოლონეთის სამხედრო ორგანიზაციამ, რომელიც ცენტრალ კომიტეტის გამგეობაში იმყოფება პილსუდსკის ხელმძღვანელობით, პოლონეთის სახელმწიფო საბჭოს მიჰმართა: კომიტეტი მზადაა თავისი ძალღონე, უკანასკნელ სისხლის წვეთამდე სამშობლოს ანაცვალოსო. ჯერჯერობით ჯარში ჩაწერილა 6000 კაცი, მომეტებულად მუშები და სტუდენტები.

საბერძნეთი

სალონიკიდან ცნობაა: ათინაში დაჰხვრიტეს გაზეთის მთავარი რედაქტორი ლამბრიკასი, რომელსაც ცხარე წერილი დაუბეჭდია, როდესაც რუპელის სიმაგრე ბულგარელ-გერმანელებს გადასცა საბერძნეთის მთავრობამ.

ავსტრია

რომიდან „ნ. ვრ.“-ას ატყობინებენ: ვენაში 5 დღე სრულებით არ იშოვებოდა პური. ასეთსავე მდგომარეობაშია არაგი, ოლმიუცი, გრადაცი, ბრიუნი, ტრიესტი და სხვა ქალაქებიო.

გერმანეთი

„Evening Nevs“-ის გადმოგვცემს: გერმანეთში საშინელი ყინვაა. რეინსა და სხვა მდინარეებზე დიდად ფერხდება სურსათ-სანოვაგის გაზიდვა. მიუნჰენში 40 კაცი გაითოშა.

გერმანელთა მამულების გაყიდვა.

კიშინიოვის საგუბერნიო ადმინისტრაციის ცნობებით, ბესარაბიის გუბერნიაში წარსული წლის დამლევამდე საჯარო ვაჭრობით გაყიდულა გერმანელ მოახლშენეთა 54 ათასი დესეტინა. დესეტინის ფასი 94—294 მანათს უდრიდა.

შეიდემანის აზრი

გერმანეთის რაიხსტაგის სოციალ-დემოკრატთა ფრაქციის ბელადს შეიდემანს ამერიკულ გაზეთ „Csicago Daily Nevs“-ის თანამშრომლისათვის განუცხადებია: გერმანეთმა სამშვიდობო მოლაპარაკების დასაწყებად კარი გამოაღო, მაგრამ მოკავშირეებმა გაბრაზებით მოუხურესო, თუმცა საზავო კარი მალე ყურთამდე გაიღება. გერმანელს დიდი იმედი აქვს პრეზიდენტ უილსონისაო.

გერმანეთის მზადება

„United Press Agencys“-ს სააგენტოს ბერლინელი თანამშრომელი ფონვიჰანდი ატყობინებს: გერმანეთი თავს უყრის მთელს თავისს ხმელეთისა და საზღვაო ძალას, რათა ინგლისი შემუსროსო.

სკანდინავიის გარემოცვა

გერმანეთი სკანდინავიის სანაპიროების გარემოცვას აპირებს. ამის გამო „ბ. ვ.“-ის თანამშრომელი ლ. ლიგინი სწერს: გერმანეთს მშვიდობიანი გარემოცვით ჰსურს საგონებელში ამყოფოს ნეიტრალი სახელმწიფოები, რათა თავისს იდუმალ ზრახვას მიაღწიოსო.

დანიასა და გერმანეთს შორის ხელშეკრულებაა დადებული, რომლის ძალითაც დანიას უფლება აქვს ინგლისს იმდენივე სანოვაგე მიაწოდოს, რამდენსაც გერმანეთს მიაწვდის.

გემის დაღუპვა

დანიის გემი „დან“-ი წყალქვეშმა დაღუპა.

კვირის [illegible] დამატებაში მოთავსებული იქნება:

„ცდუნება“. ტბის პირად, რომანსი ნოტებზე გ. ხვანიძისა და რამდენიმე კარიკატურა. ლექსი ხანდრო შანშიაშვილისა და დ კაპანლისა. მოთხრობა „თეთრი ზამბახი“ დ. კასრაძისა.

ახალი ამბავი

◆ **ფრესკების გამოფენა.** ხელოვანთა საზოგადოების გადაწყვეტილებით სამღვდელო პირთ მინიჭებული აქვთ უფლება დაათვალიერონ გამოფენა უფასოდ. ხოლო მიუხედავად ასეთის უპირატესობისა, სამღვდელო პირთაგან, ორი-სამის მეტს, ჯერ არავის დაუთვალიერებია გამოფენა, რაზედაც გულ მტკივნეული საყვედური ისმის გამომფენელთა მხრივ.

◆ **შაბიამანის შეძენა.** ონის კოოპერატივის—„[illegible]“ წარმომადგენელმა ბ-ნმა დავით კერესელიძემ მოსკოვის სახალხო ბანკის წარმომადგენლისაგან თბილისში დაიკვეთა აღნიშნულ კოოპერატივისათვის შაბიამანი და ბეც დაუტოვა. შაბიამანი გაიგზავნება ქუთაისში იმ მისამართით, რომელსაც კოოპერატივი აცნობებს ბანკის წარმომადგენელს.

◆ **ქართ. წიგნების გავრცელება.** ქართულ წიგნების გამომცემელს და გამავრცელებელს იასონ კერესელიძეს სულ 15 წიგნი გამოუცია. გარდა ამისა ის ავრცელებს სხვათა გამოცემებსაც. თითქმის მთელი საქართველო მოუვლია ფეხით სოფელ-სოფელ და წიგნები უტარებია ხალხში გასავრცელებლად. გაუვრცელებია ამ მოგზაურობის დროს 21,982 ცალი წიგნი 251 სათაურისა. ზოგან უფასოდაც ურიგებია თავისი გამოცემები. უკანასკნელ 1915—1917 წლ. განმავლობაში მოგზაურობაში გაუტარებია 147 დღე. მოუვლია 152 დაბა-სოფელი წიგნების გამოსაცემ ფულს იასონ კერესელიძეს ზოგჯერ რომელიმე საზოგადო დაწესებულება აძლევდა, ზოგჯერაც თვითონ შოულობდა.

◆ **კონსერვატორია თბილისში.** განზრახულია ადგილობრივი სამუსიკო სასწავლებელი კონსერვატორიად გადაკეთდეს.

◆ **ნამალევი საქონელი.** 18 იანვარს პოლიციამ აღმოაჩინა ძმ. ყარაგოზოვების მაღაზიაში (რუსის ქუჩა, სახ. 11) დამალული ხახვი, დაფნა, ბრინჯი და სხ. პოლიციამ მაშინვე ბინაც გაჩხრიკა ყარაგოზოვებისა სამების ქუჩაზე (№ 10) და იქაც ბევრი სანოვაგე აღმოჩნდა. ნამალევი საქონელი პოლიციამ ჩამოართვა ყარაგოზოვებს და შესაფერისი ოქმი შეუდგინა.

◆ **პოლიცმეისტრის ბრძანება.** ბ-ნმა თბილისის პოლიცმეისტერმა, პოლკოვნიკმა ზდანოვსკიმ, ბრძანება გამოსცა, რომელშიც ამბობს: იმ დროს, როცა მცხოვრებთ უპირველესობა დროთა ვითარების გამო დიდს გასაჭირს განიც-

შოთა რუსთაველი და მისი პოემა „ვეფხვის ტყაოსანი“

შეიძლება წელიწადი მაინც იქნება მას აქეთ, რაც შოთა რუსთაველი და მისი „ვეფხვის ტყაოსანი“ მოევლინა ქართველობას. რადგანაც ამ პოემის მაღალი აზრი ყველას არ ესმოდა, ამიტომ ყველა ერთნაირად არ ეპყრობოდა მას. ზოგი—გატაცებული და მოხიბლული ნარნარ ლექსთა წყობით, გამომეტყველ ენით და მაღალ აზრებით, ამ პოემას და მის ავქსონს თაყვანს სცემდა, როგორც სახარებას და მის დამწერთა. ზოგი კი სდევნიდა, რადგანაც ეს მაღალი აზრები არ ესმოდა ან ესმოდა, მაგრამ სახარების წინააღმდეგად სთვლიდა. მდევნელთა შორის განათლებულნი პირნიც იყვნენ, როგორც კათალიკოსი ანტონ I ლი, რომელმაც ვახტანგ მე-VI მიერ დაბეჭდილი „ვეფხვის ტყაოსანი“ დააწვევინა. ანტონი თვითონ ამბობს: „შოთა ბრძენ იყო, სიბრძნის მოყვარე ფრიად, ფილოსოფოსი, მეტყველი სპარსთა ენის, თუ რომ ჰსწადოდა, ღვთისმეტყველიცა, უცხო, საკვირველპიიტიკოს მესტიხე, მაგრამ ამაოდ დაშვრა, საწყენ არს ესე“. „ვეფხვის ტყაოსნის“ თაყვანის მცემელთ სურდათ მუდამ ხელში ჰქონოდათ ეს პოემა და იძულებულნი იყვნენ გადაეწერათ თავ-თავისათვის, მაგრამ, თვისი ფანტაზიის წყალობით, გადაწერის დროს ზოგი უმატებდა ტაეპებს და ზოგი ასწორებდა ან აკლებდა. და სწორედ ამით აიხსნება „ვეფხვის ტყაოსნის“ ვარიანტების სხვა და სხვაობაირად გაჰრელება, როგორც ახლა არსებული ნაბეჭდებიც გახლავთ. ბევრსა ჰგონია, ვითომ ვარიანტების სხვა და სხვაობა მტრებისაგან მომხდარიყოს, მაგრამ ეს მართალი არ არის.

ამ სხვა და სხვაობამ აუშალა საღერღელი მკითხველთა, „ვეფხვის ტყაოსნის“ და მისი ავქსონის ვინაობის გამოკვლევის და კრიტიკულად შესწავლისა.

ამ საკითხს ბევრმა მოჰკიდა ხელი, წახსნა საბელი თვისს ფანტაზიას და შეუდგა კვლევა-ძიებას, მაგრამ ზოგნი ამაოდ დაშვრნენ.

მეოთხმოცე წლამდე „ვეფხვის ტყაოსნის“ და მისი ავქსონის ვინაობის საუკეთესო მკვლევარად უნდა ჩაითვალოს განსვენებული დ. ჩუბინაშვილი, თუმცა ბროსესაც მიუძღვის ღვაწლი. ჩუბინაშვილის მიერ გამოცემული 1860 წელს „ვეფხვის ტყაოსანი“ თვისი ლექსიკონითურ ერთად-ერთი ასე, თუ ისე მეცნიერული გამოკვლევა იყო.

ოთხმოციან წლების შემდეგ გამომცემლებმა დომხალივით აურიეს ამ პოემის საქმე: ტექსტიც კი გარყვნეს. ახლა დაბეჭდილი „ვეფხვის ტყაოსნის“ ცალები თითქმის მეტს სხვა და სხვაობას წარმოადგენს, მინამ ხელნაწერი ვარიანტები. რისთვის მოხდა ეს? იმისთვის, რომ უპატრონო მგოსანს უდიერათ ეკიდებიან ცრუ მეცნიერნი. კიდევ კარგი, რომ ცოტა გადარჩათ და ამის შემდეგ, შეიძლება, თვით ქ. საზოგადოებამ აკრძალოს ტექსტის ძიძგნა. თითოეულმა მკვლევარმა უნდა იცოდეს, რომ ტექსტის ძიძგნის უფლება არ აქვს და ისე რავდენიც უნდა სწერის, ვეღავინ დაუშლის.

დარწმუნებული გახლავართ, ბატონებო, რომ ორმოც-ამოცი წლის შემდეგ მომავალ თაობისათვის ეხლა არსებული—დაბეჭდილი „ვეფხვის ტყაოსნის“ ცალები უფრო ძნელი გასაგები იქნება, მინამ დღეს ჩვენთვის ამ პოემის ხელნაწერი ვარიანტები არის. ამიტომ ტექსტს გაფრთხილებით უნდა მოეპყრას მკვლევარი.

ჩუბინაშვილის გამოკვლევით შოთა რუსთველი დაიბადა ახალციხის მხარეში, განათლება დაასრულა ათინაში. დაბრუნდა საქართველოში თამარის ბრწყინვალე მეფობის დროს და იქნა დანიშნულ მოლარეთა უხუცესად.

რუსთველმა დასწერა „ვეფხვის-ტყაოსანი“ თამარის სადიდებლად: ჩუბინაშვილი „ვეფხვის-ტაოსნის“ ორიგინალობას დაბეჯითებით აღიარებს და უარ ჰყოფს იმ მოსაზრებას, ვითომ ავქსონს შინაარსი აღმოსავლეთის მწერლობიდან ესესხნოს.

ჩუბინაშვილის აზრით დიდი მსგავსებაა თამარის და ნესტან-დარეჯანის შორის. ნესტან-დარეჯანი ერთად-ერთი შვილი იყო მეფე ფარსადანის; თამარიც ერთად-ერთი შვილი იყო გიორგი მესამის; ნესტანის აღზრდა ფარსადანმა მიანდო თვისს დას დავარს. თამარიც აღზარდა თვისმა მამიდამ სახელოვანმა რუსუდანმა; ნესტანი და ტარიელი ერთად იზრდებოდნენ; თამარი და დავით სოსლანიც ერთად იზრდებოდნენ; როგორც ნესტანს და ტარიელს უყვარდათ ერთმანეთი, ისე თამარს და დავითს; მშობლები ნესტანს რთავდნენ ხვარაზმელ შაჰის შვილს, მაგრამ სასიძო ტარიელმა მოკლა; თამარსაც ხვარაზმელ შაჰი თხოულობდა, თუმცა ის არავის მოუკლავს; ნესტანი ბოლოს ირთავს ტარიელს; თამარიც ირთავს დავით სოსლანსო.

ჩუბინაშვილი მსგავსებას ხედავს აგრეთვე ფარსადან მეფის და თამარის მამის გიორგი მესამის შორის.

ნესტანის მამა ფარსადანი შვიდ სახელმწიფოს მეფედ იწოდება; მინახავს ძველის-ძველი ქართული „გრამოტა“, სადაც ქართველი მეფეები შვიდი სახელმწიფოს მეფეებად იხსენიებოდნენო, ბრძანებს დ. ჩუბინაშვილი. ასეთი მოწმობა ვახუშტისაც აქვს. ეს სამეფოები იყოვო: აფხაზეთი,გერეტინი, საათაბაგო, ქართლი, კახეთი, რანი და ოსეთი, სადაც ბაგრატიონის დინასტიის ჩამომავალი მეფობდაო. ქაჯთა ციხეც ახალციხის ოლქში არისო. აი, აქეთია ბ-ნ. ჩუბინაშვილის აზრი შოთას და მისი პოემის შესახებ.

1910 წ. ბ. აკადემიკოსმა ნიკოლოზ მარრმა გამოაქვეყნა თვისი შრომა: „Вступительныя и заключительныя строфы витязя въ барсовой кожѣ Шоты изъ Рустава“. ამ შრომაში პატ. აკადემიკოსი შოთა-რუსთაველს სთვლის თამარის დროის მგოსნად I გვერდი ბრძანებს: „Поэтъ писалъ для забавы царицы Тамары; а эта поэма стала общенародною и проникла во всѣ слой населенія, гдѣ подъ ея вліяніемъ слагались чисто народныя пѣсни“. პოემის შინაარსის შესახებ ბრძანებს, რომ ის ნასესხებია სპარსულიდანაო. ამასთანავე დასძენს, 2 გვერ. რომ ვეფხვის-ტყაოსნის მსგავსი არა მოიპოვება რა სპარსულ ენაზე. ამასვე მოწმობს მეფე ვახტანგ მე-VI, რომელმაც ხუთი წელიწადი (1712—1717-დე) ეძება სპარსეთში ვეფხვისტყაოსნის ასლი, მაგრამ მსგავსიც ვერა იპოვა-რა.

ამ სახით ბ. აკადემიკოსის მეცნიერული გამოკვლევით რუსთაველი თამარის დროის მგოსანია, მხოლოდ პოემის შინაარსია ნასესხები.

ახლა ვრცელდება სრულიად ახალი აზრი. როგორც გაზეთები გადმოგვცემს, 23 ქრისტეშობისთვეს, ბაქოში ლექცია წაუკითხავს ბ. აკადემიკოს მარს და უბრძანებია შემდეგი: 1. რუსთველი მე-XIV საუკუნის მწერალია და არა თამარის დროისა; 2. რუსთველი მუსულმანი ყოფო, რასაც მოწმობს ის მოვლენაც, რომ „ვეფხვის ტყაოსანი“ გაჟღენთილია „მუსულმანიზმით“ და ქრისტიანული შიგ ან არ არის და თუ არის, ძლიერ ცოტაო. 3 „ვეფხვის ტყაოსნის“ ახლანდელი ტექსტი შერყვნილია და არის ბევრი საბუთი იმ ს, რომ ეს მოუხდენია ქართულ ეკლესიასო.

პირველი დებულება: რუსთველი XIV საუკუნის მწერალია და არა თამარის დროს მგოსანი, ამ აზრს აქარწყულებს შემდეგი: თვით პოემაში ისეთი ტაეპებია, რომლებიც მიღებულია უკვე ბ აკადემიკოსის მიერ და რომელიც ცხადად ამტკიცებს, რომ მგოსანი ცოცხალ პირს შესახამ ქებას და არა მკვდარს. მაგალითად: ტაეპი მე-3:

„ვის ჰშვენის ლომსა ხმარება
შუბისა, ფარ-შიმშერისა,
მეფისა მზის თამარისა,
ღაწვ-ბადახშ თმა გიშერისა,—
მას არა ვიცი, შევკადრო
შესხმა ხოტბისა ხშირისა!
მისთა მჭვრეტელთა ყანდისა
მირთმა ჰხამს მართ შიმშერისა!

ტაეპი მე-4:

„თავარს ვაქებდეთ მეფესა,
სისხლისა ცრემლ-დათხეული“.

ტაეპი მე-5:

„მიბრძანეს მათდა საქებრად
თქმა ლექსებისა ტკბილისა...
ქება წარბთა და წამწამთა თმათა
და ბაგე-კბილისა...

ამ სამ ტაეპში ცოცხლის ქებაა და არა მკვდრის. რაც ან ვინ უბრძანებდა მეოთხმეტე - მეხუთმეტე საუკუნეში რუსთველს თამარის შექებას და ან რა საჭირო იყო!

შემდეგ ტაეპი XV.

„მე რუსთველი ხელობითა
ვიქმ საქმესა ამა დარი,
ვის მორჩილობს ჯარი სპათა,
მისთვის ვხელობ, მისთვის მკვდარი.
დავუძლურდი მიჯნურთათვის,
კვლავ წამალი არსით არი,
ანუ მომცეს განკურნება,
ანუ მიწა მე სამარი“.

მრავალ მნიშვნელოვანია ეს ტაეპი. ეს ტაეპი ორს უდიდეს საკითხსა სწყვეტს. პირველი, მგოსანი თან მედროვეა იმ პირის, ვისაც ეალერსება, ამიტომ ამბობს; ვის მორჩილებს ჯარი სპათა, მისთვის ვხელობ, მისთვის მკვდარი. შესმენილი აწმყო დროშია; მაშასადამე, საალერსო პირს ხედავს თვალებით, ულერსის, შეხარის და გადაჭრით ამბობს: ანუ მომცეს განკურნება, ანუ მიწა მე სამარი. სიცოცხლე და სიკვდილი მგოსნის იმ პირის ხელშია, რომელსაც შეხარის და რომლისათვისაც ხელობს. აქ მგოსანს თვალ წინ უდგას ცოცხალი არსება და ეს არის ის პირი, რომელსაც უნდა აქებდეს და რომლის ქებაც უბრძანეს, ესე იგი, თამარი. ამ ტაეპში აშკარად სჩანს მგოსნის—რუსთველის გატაცებით-თავდავიწყებამდე ლტოლვა თამარისადმი. მაშასადამე, ეს ორი პირი ერთ და იმავე დროს ცხოვრობენ.

მეორე. მე-16 ტაეპი ხელოვნურია, ესე იგი მე-XV ტაეპი რომ არ ყოფილიყო, მგოსანი მე-16 ტაეპს არ მოათავსებდა პოემაში. აი რატომ: მე-15 ტაეპში მგოსანს გაგიჟებით უყვარს

დის, ვერ უშოვია მას თეთრი პური, შაქარი, კვერცხი, ერბო და სხვა პირველ საჭიროების საქონელი, საკანდიტეროებში გამოულევლად ბლომად არის გამოფენილი ათასგვარი ტკბილეული ნაწარმოები, რომელსაც მცხოვრებთა მხოლოდ უმცირესი ნაწილი ყიდულობს, ხოლო უმრავლესობისათვის იგი სანატრელი საგანია. ამიტომ ბ-ნი პოლიცმეისტერი უბრძანებს ბოქაულებს, რომ კანდიტრებმა აღნიშნული ნაწარმოები არ გამოჰფინონ, რადგან ვისაც ძვირფასი ნაწარმოების ყიდვა შეუძლიან, ის საკანდიტეროებსაც კარგად იპოვნის. სამაგიეროდ, ბ-ნ პოლიცმეისტრის ბრძანებით, საკანდიტეროებში მუდამ დღე საკმაოდ უნდა აცხობდნენ ფრანგულ და პოლონურ ფუნთუშებს (ბულკებს), რაიცა დიდად საჭიროა ყველა ოჯახისათვის.

◆ **კოოპერატივთა კავშირის თათბირი.** 22 იანვარს კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების დარბაზში კრება ექნება ამიერ კავკასიის კოოპერატივთა კავშირს. კრებას დაესწრება მოსკოვის სახალხო ბანკის როსტოვის განყოფილების გამგე ბ-ნი რ. ფ რენნინგი. უმთავრესი საგანი კრების ის არის, თუ როგორ დაუახლოვდნენ ჩვენი კოოპერატივები აღნიშნულ ბანკის მოქმედებას.

◆ **სომხები ლაზისტანში.** ტყის რევიზორი ვერმიშევი ახლანდელ თანამდებობას თავს ანებებს და ტრაპიზონის რკინის გზის გამყვან ინჟინერად დაუნიშნავთ. ეს ის ვერმიშევია, ამ 20 წლის წინად სვანეთის და მერმე აფხაზეთის ტყეთა გამგედ რომ იყო, მაშინ აფხაზეთში სომხის ჭაჭანებაც არ იყო; ვერმიშევმა კი დიდი შრომა გასწია, მიიყვანა თანამემამულეები, გაუჩინა მათ საქმე და ახლა, როგორც ვიცით, აფხაზეთში რამდენიმე ათასი სომეხი ითვლება; ალბად ლაზისტანსაც ამგვარ ღვაწლის დადებას უპირებს ბ-ნი ვერმიშევი.

◆ **ანანოვის სახელობის სასწავლებელს** 40 წელიწადი უსრულდება დღიდან დაარსებისა. მ. ა. ანანოვმა სთხოვა სასწავლებლის ადმინისტრაციას შეადგინონ ამ სასწავლებლის ისტორია და გამოცემის ხარჯს მე ვიკისრებო.

◆ **სომეხთა ცენტრალ კომიტეტს** გადაუწყვეტია მოაწყოს თუქურმიშაში (კახეთი) თავშესაფარი 200 სომეხ ბავშვის მოსათავსებლად.

◆ **აბანოების გაძვირება.** აბანოებში ტანის ბანის ფასი კაცის თავზე ხუთ შაურიდან ექვს შაურზე ავიდა. აგრეთვე მექისეებმაც გააძვირეს თავიანთი შრომა. ათ შაურზე ნაკლებ ტანს აღარავის ბანენ.

◆ **სახელმწიფო ბანკის ადგილობრივ** კონტორას ახალი ცირკულიარი მოუვიდა, რომლის მიხედვით წვრილ საკრედიტო დაწესებულებათა პასუხისმგებელ მოსამსახურეთ, რომელნიც სამსახურში მიღებული არიან 1916 წლის 15 გიორგობისთვემდის, ჯარში გაყვანის ვადა უგრძელდებათ. შეღავათის მიმცემ კომიტეტში წარსადგენი შესაფერისი მოწმობა წვრილ კრედიტთა ინსპექტორებისაგან უნდა აიღონ.

◆ **სახელმწიფო სესხი.** თბილისის სახელმწიფო ბანკის კონტორას 10—18 იანვრამდე უკანასკნელ სახელმწიფო სესხიდან გაუნაღდებია **337,650 მ.**, **გამნაღდებელთა რიცხვი უდრის 505-ს,** დღემდისინ **სულ გაუნაღდებია** კონტორას **10.849,650 მან.** გამნაღდებელი ყოფილა **2,108** კაცი.

◆ **ჟურნალი „მოსავალი“.** გამოვიდა და ხელის მომწერთ დაურიგდა სამეურნეო ჟურნალი „მოსავალი“ № 1—2. ჟურნალში, სხვათა შორის, მოთავსებულია ა. გრიგოლიას საინტერესო მოხსენება საკრედიტო კოოპერატივების კავშირების შესახებ. ჟურნალი სუფთად არის დაბეჭდილი და სოფლის მეურნეთათვის ბევრი სასარგებლო ცნობებია შიგ მოთავსებული.

◆ **წარმომადგენლების არჩევა.** 19 იანვარს ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭომ საზოგადოების წარმომადგენლებად ამიერკავკასიის კოოპერატივთა კავშირის თათბირზე დასასწრებლად 22 იანვარს აირჩია ვ. ი. რცხილაძე და ე. ო. იოსელიანი.

◆ **პანაშვიდი.** დღეს, 21 იანვარს, დილის 12 საათზე, ქართველ რომის კათოლიკეთა მიძინების ტაძარში გარდახდილ იქნება პანაშვიდი ცნობილ ქველმოქმედ ნ. ი. ზუბალაშვილის გარდაცვალებიდან 19 წლის შესრულების აღსანიშნავად. გუშინ პანაშვიდი გარდახდილ იქმნა ღარიბთა თავშესაფარში, რომელიც განსვენებულის მიერ ნაანდერძევი აქვს ქალაქს.

◆ **ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების** მთავარ გამგეობის სხდომა 19 იანვარს არ შესდგა წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო. ბევრი საყურადღებო საკითხია განსახილველი. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი წევრები გამგეობისა ხშირად არ ესწრებიან სხდომებს.

◆ **ახალი ტარიფი.** ქალაქის საბჭოს დადგენილება შესახებ 5 კაპეიკიან ბილეთის დაწესებისა ვაგონებზე №№ 5 და 9; ერევნის მოედნიდან წყნეთისა და ოლღას ლიანდაგების თავამდე და 3 კაპეიკიანისა დიდუბის ლიანდაგზე, ორშაბათიდან (**23** იანვარი) შედის ძალაში.

◆ **ქალაქის სასურსათო აღმასრულებელ კომისიას** სხდომა ჰქონდა 19 იანვარს. განხილულ იქმნა საკითხი შაქრის მისაღებ ბარათების შესახებ. გადაწყდა, რომ ბარათები დარიგდეს 1 თებერვლიდან **6** თვის ვადით. ბარათში აღნიშნული იქნება ოჯახის უფროსის ვინაობა და საერთო რიცხვი ოჯახის წევრთა. სახლის პატრონია პასუხისმგებელი ბარათების სისწორით შედგენაში. საკითხი შესახებ იმისა, რომ შაქარი ყველა მცხოვრებმა თანაბრად მიიღოს, ე. ი. ზედმეტი შაქრის მიღება არავის შეეძლოს თბილისში, ქალაქის საბჭოს წარედგინება განსახილველად.

ქუთაისი.

ია ეკალაძემ შუამდგომლობა აღძრა ნება დართონ გამოსცეს ყოველკვირეული სამხატვრო სალიტერატურო ჟურნალი „ია“.

— ქუთაისის გუბერნიის მელვინეობა-მევენახეობის კომიტეტს მოუვიდა კარგის ხარისხის შაბიამანი 1600 ფუთი და 700 ფუთიც გოგირდი.

— საისტორიო საეთნოგრაფიო საზოგადოება ბეჭდავს ბაგრატის ტაძრის დასურათებულ ალბომს, მიხაილოვის ფოტოგრაფიამ უკვე დაასრულა სურათების გადაღება. სურათები საზღვარგარედ უნდა გაგზავნონ კლიშეების გასაკეთებლათ. ალბომი თუმნად ეღირება.

— ამ თვის გასულს მოხდება კრება ქუთაისის სასოფლო-სამრეწველო საურთიერთო ნდობის საზოგადოების წევრთა. ამ ბანკის გამგეობის თავმჯდომარედ ასახელებენ, ბ-ონს გრ. გველესიანს.

ბათუმი.

ბათომის დრამატ. საზოგ. გამგეობა სთხოვს ქუთაისისას დახმარება აღმოუჩინოს ავადმყოფს მსახიობს ვ. შალიკაშვილს.

ფოთი.

ქალაქის გამგეობამ შეადგინა ხარჯთაღრიცხვა 1917 წ., რომელიც უდრის 712.009 მანეთსა და 49 კ. საბჭომ დაადგინა: მოსამსახურეთ გაუდიდონ ჯამაგირები 75 პროც. იმათ, ვინც თვიურად 50 მ. ღებულობენ, ვინც წლიურად 600-იდან 1200 მანეთამდე ღებულობს—40 პროც., ხოლო ვინც 1200 მანეთს ზევით ღებულობს 1800 მანეთამდე—30 პროც., გარდა მთავარ ბუღალტერისა და გამგეობის მდივნისა, რომელნიც 1500 მანეთს ღებულობენ, ამათ წლიურად უნდა მიეცეთ 2400 მანეთი თითოს. ამავე დროს საბჭომ დაადგინა ხელახლა შეფასდეს ქალაქ ფოთის უძრავი ქონებანი, 1908 წელს შეფასებულნი.

— ფინანსთა სამინისტრომ სესხად მისცა ფოთის ქალაქის თვითმართველობას 87,177„ მანეთი, 1917 წლის დეფიციტის შესავსებათ. ამ დეფიციტის მიზეზია ის გარემოება, რომ ომის გამო გადასახადების აკრეფა თითქმის შეუძლებელიი შეიქმნა. ამ სესხის გადახდა ქალაქს შეუძლია ომის გათავებიდან 10 წლის განმავლობაში.

თელავი.

— ამ დღეებში კახეთის კავშირმა მიიღო 2 ვაგონი დამტვრეული შაქარი, აქედან როგორც გავიგეთ, 16 ტომარა მომხმარებელ საზოგადოებისთვის მიუციათ, დანარჩენი დაურიგებიათ სოფლების შემ.-გამ. ამხანაგობებისთვის.

— აქაურ ყასბებში კაი ხანია აღარ იშოვება თხისა, ცხვრისა და ძროხის ხორცი. სამაგიეროთ იყიდება: ღორის ხორცი გირ. 60 კაპ. ბურვაკისა 80 კ. და კამეჩისა ძროხის ხორცის სახელით 50 კაპ. ნამდვილი ძროხა რომ დაკლან, აღარ ვიცით რა ფასს დაადებენ.

ᲒᲐᲠᲘᲧᲣᲚᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ

I

(სულის ობლობა.—ადგილობრივი მაჰმადიანი ქართველობა და საქვ. საზ. განყოფ. გამგეობის მოქმედება.—პირველი ქართული სალამო არტაანში).

რომ იცოდე, მკითხველო, რა ძნელია: ჯერ დიდის ხნით იცხოვრო ჩვენთვის ისრეთ ცოცხალ, კულტურულ ცენტრში, როგორიც თბილისია, ცოტათი თუ ბევრად ჩაბმული იყო საზოგადოებრივ-ეროვნულ ორომ-ტრიალში, გაფაციცებით თვალ-ყურს ადევნებდე ამ ცხოვრების მაჯის-ცემას და ერთ-ერთ უკმურ დღეს, დაუნდობელმა ცხოვრების პირობებმა მოგგლიჯოს ამ შესისხლხორცებულ, მშობლიურ სფეროს და გადაგისროლოს სადმე მიყრუებულ პროვინციაში. ცხარობ, ილანძღები, თითქმის ხმა-მაღლა ჰყვირი, მაგრამ ცხოვრების მედგარი ძახილი, ვით უზარმაზარ მანქანის გუგუნი, მთლად ახშობს შენს უილაჯო საპროტესტო ძახილს... განსაკუთრებით ძნელია, როცა ბუნებით არა ხარ მატერიალისტი, რასაც შეეძლო შენს სათაყვანო მიდამოდან მოწყვეტა; როცა არა გწამს განდეგილური ცხოვრება და,—მოლლა-მასრადინასი არ იყოს,—ისევ საქაო ზარალი გირჩევნია საიქაო ხეირს... პირველ ხანში შენ თითქოს სცდილობ კიდეც არ დაემონო ახლად შექმნილ პირობებს: გაორკეცებულის ენერგიით გინდა შეებრძოლო მათ,—რამე გვარი აზრი მისცე შენს იძულებით განმარტოებულ ყოფას, მაგრამ როცა უმძრაო, ბურუსით მოცულ „ჭაობიან“ არეში არ გესმის „არსად ხმა, არსად ძახილი“,—შეუმჩნევლად თვითვე თანდათან ეფლობი ამავე ჭაობში...

მართალია, მაგალითად, არტაანი არც ისრე მიყრუებული ადგილია: არის სამაზრო დაწესებულებები; აქ შეხვდებით საგრძნობელ ჯგუფს ეგრედ წოდებულ ინტელიგენციისას, მაგრამ მათში ორიოდე კაცს თუ შეხვდებით ისრეთს, რომელთაც, გარეშე პირადი ყოფისა, კიდევ სხვა რამე აინტერესებდეს. აქაურთა დიდი უმრავლესობის სულიერ საზრდოს შეადგენს: ერთმანეთისადმი გაჯიბრება ჩაცმა-დახურვა-სმა-ჭამაში, ყოყოჩობა შეძლება-მდგომარეობით, დაუსრულებელი ჭორები და ბანქოობა... ზაფხულობით კიდევ, აქაურ მომჯადოებელ ბუნების ზეგავლენით, იმდენად ვერა გრძნობს სულიერ სიმარტოვეს; ეხლა კი, ზამთარში, როცა აქ არე-მარე სქელ თეთრ სუდარაშია გახვეული, კეკლუც მცენარეთა სიცოცხლე შეწყვეტილა,—სახლში მომწყვდეულ, მოძრავ ადამიანის გულსაც ისრეთივე კვნესა-ზუზუნი გააქვს, როგორათაც გარეთ თავისუფლად მოთარეშე ქარს...

ყველა ამ პირობების-და მიუხედავად, როგორც იქმნა, აქაც დაარსდა ქართ. საქველ. საზოგადოების განყოფილება. აქაურ განყოფილების გამგეობის უმრავლესს წევრებისა სასახელოთ უნდა ითქვას, რომ მათ ხალისიანად მოჰკიდეს ხელი თავის მოვალეობას. სამუშაოთ აქ მათთვის ფართო ასპარეზია. როგორც მოგეხსენებათ, არტაანის ოლქი შეადგენდა ნაწილს, ოდესღაც ქონებრივ-კულტურულად აყვავებულ სამცხე-საათაბაგოისას, რის ისტორიულ ნაშტს, თუმცა აოხრებულთ, ეხლაც შეხვდებით თითქმის ყოველი ბიჯის გადადგმაზე. ამითვე აიხსნება, რომ, როგორც გამოირკვა აქაურ გამგეობის მიერ მოხდენილ ჯერ ხანათ მცირე აღწერით, აქეთ მრავალი მოსახლეა გამაჰმადიანებულ ქართველობისა, რომელთა უმრავლესობაც მოწადინებულია შეისწავლოს, უკვე დავიწყებული, მშობლიური ენა და დაუახლოვდეს მოძმე ქრ.-ქართველობას. ქართულის სწავლის მსურველთა რიცხვი იმდენად დიდია, რომ მათ მგონი სამი სკოლაც ვერ ეყოთ. აქაური გამგეობა, რა თქმა უნდა, მაშინათვე შეუდგა ამ მადლიან საქმის მოგვარებას და უპირველესად ყოვლისა განიზრახა, ჯერ ხანად, 50 მაჰმ.-ქართ. ყმაწვილთათვის სკოლა-თავშესაფარის დაარსება. ხარჯთ-აღრიცხვაც უკვე წარედგინა მთავარ გამგეობას, თხოვნასთან ერთად, რომ სახსარი აღმოეჩინათ საქმის იანვარშივე დაწყებისათვის, მაგრამ მთავარ გამგეობისგან, აქობამდე, დაპირების მეტი, ჯერ არაფერი სჩანს. მაინც, ამ მთავარ მიზნის განხორციელებამდე, აქაური განყოფილების გამგეობა არა ზის გულ-ხელ დაკრეფილი: აწარმოებს რეგისტრაციას და ეხმარება ომისაგან ლტოლვილთ და სასტიკათ დაზარალებულთ, იძენს მრავალ წევრებს და, თავისი სახსარის გასაძლიერებლად, დიდი შრომა გასწია აქ პირველად გამართულ ქართულ სალამოს მოსაწყობად.

სალამო გაიმართა ამა იანვრის 6, ადგილობრივ საზოგადო საკრებულოში და ამ სალამოს დამაკმაყოფილებელმა შედეგმა ყოველივე მოლოდინს გადააჭარბა. სალამოს იმოდენა საზოგადოება მოაწყდა, რომ თითქმის გასანძრევი ადგილი აღარ იყო და ბევრიც, უადგილობით, ვეღარ დაესწრო. საერთო შემოსავალმა ორას თუმანს გადააჭარბა, თუმცა ხარჯიც დიდი იყო, ვინაიდან საჭირო მასალა-სურსათისადა ტანისამოსისათვის ორი კაცი იქმნა გაგზავნილი თბილისსა და ქუთაისში. მართალია, ამ სალამოს, შედარებით, ნაკლები ქართული ელფერი ედო, მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ აქ მცხოვრებთა დიდ უმრავლესობას უცხო ტომნი შეადგენენ და აგრეთვე უნდა გაითვალისწინოთ საჭირო ძალების უყოლობა და შემაფერხებელი ტეხნიკური პირობები. სალამო შესდგებოდა ოთხ განყოფილებისაგან: პირველში ტ. დ. კეზელმა რუსულად წაიკითხა თვისი მოკლე მოხსენება: „საქართველოს წარსული და აწმყო“; მეორეში წარმოადგინეს ჩეხოვის მხიარული ვოდევილი—„დათვი“. მესამეში დაიდგა ცოცხალი სურათი: შ. რუსთაველის მიერ მიძღვნა „ვეფხვის ტყაოსნისა“ მეფე თამარისადმი“ და მეოთხე კონცერტიული განყოფილება იყო. შეკრებილმა საზოგადოებამ მეტად მხიარულად გაატარა და სალამოთი ნასიამოვნი, დილის ოთხ საათზე დაიშალა.

მადლობით აღსანიშნავია ის თანაგრძნობა, რაიც გაგვიწია აქ დროებით მყოფ ჯარის სარდალ-აფიცრობამ.

გ. ახ—ციხელი.

ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ

XIII

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ქუთაისის გუბერნიაში სახალხო განათლების ასპარეზზე კრუპსკ გასპარიანც-გროზდოვები „მოღვაწეობდნენ“. ამ ვაჟბატონებმა ისე არივ-დარიეს საქმე, რომ ქართველი ხალხის შეგნებული ნაწილი იძულებული შეიქნა მათ წინააღმდეგ ხმა ამოეღო. სამოსწავლო მთავრობამ ასეთ სამართლიან ხმას ანგარიში გაუწია და ხსენებული „პედაგოგები“ ქუთაისის გუბერნიას მოაშორა და ერთი მათგანი კი (გასპარიანცი) სრულიად სამსახურიდან დაითხოვა. კრუპსკის შემდეგ აგერ ოთხი-ხუთი წელიწადია, რაც ქუთაისის გუბ. სახალხო სკოლებს ბ. ვიშნევსკი განაგებს. ქართველ ერის ტკივილებს ბ-ნ ვიშნევსკიმ მოსვლისათანავე ალღო აუღო და მის ბუნებრივ მისწრაფებათ კანონიერ ფარგლებში ფარველობას უწევს. რუსის მოხელეებისაგან ჩვენ მხოლოდ კანონიერ მოპყრობას მოვითხოვთ და გვწყინს, როდესაც ისინი ამა თუ იმ კანონს ათას გვარ ხრიკებით გვერდთ უვლიან. ბ. ვიშნევსკი ამ მხრით პირდაპირი კაცია და არსებულ სასკოლო კანონების თავისებურად მოგვარება არ უყვარს. მიუხედავად ამისა, ქართველ საზოგადოების ერთ ნაწილში ბ. ვიშნევსკისადმი კანტი-კუნტად საყვედური გაისმის. უნაკლო არავინაა და, შესაძლებელია, ბ. ვიშნევსკისაც რაიმე ნაკლი ჰქონდეს, მაგრამ ის რომ ჩვენთვის სასარგებლო ადამიანია, ეჭვს გარეშეა. ნუ დაგვავიწყდება, რომ იდეალური მოხელე არც ყოფილა და არც იქნება, საყვედურის კი არა, მადლობის ღირსია ბ. ვიშნევსკი ჩვენგან.

მ. ბუაჩიძე.

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲓᲝᲜᲘᲡ-ᲠᲝᲡ-ᲢᲝᲕᲘᲓᲐᲜ

ომი და სტუდენტობა.—ქართველი სტუდენტების მატერიალური მდგომარეობა.—„ქართული საზოგადოება“ და ქართველი სტუდენტები.—ქართველ სტუდენტების კულტურულ ყოფის ხასიათი.

თანამდროვე ომმა ძლიერ შეუშალა ხელი სტუდენტობას და მრავალი მათგანი იძულებული გახადა თვისი მიზანსურვილების და მისწრაფებათა განხორციელებისათვის ზრუნვაზე ხელი აეღო. ომმა მრავალ ჭაბუკის სულის სიღრმეში ჩაჰკლა, გააცამტვერა ყოველივე ის, რაც მისთვის წმინდათა-წმინდას და ოცნების მარადიულ საგანს შეადგენდა. სამუდამოდ თუ მხოლოდ დროებით? არავინ იცის. პასუხის მიცემა ამ საკითხზე ძნელია, რადგანაც ეს ბნელით მოცული, გამოუცნობი და აუხსნელი მომავალი საქმეა. თუ წინედ, ადამიანთა მშვიდის არსებობის მშვენიერ დროს, სტუდენტის ძალთა მოქმედების ასპარეზს კულტურულ-პოლიტიკური სფერო შეადგენდა, დღეს

თამარი.—უსათუოდ სამღვდელოებაც და საზოგადოებაც თამარის შეურაცხობად ჩასთვლიდნენ მგოსნის ასეთს საქციელს, ამიტომ შოთამ მე-16-ტე ტაეპის შეტანით აიცილა ბრალდება. მე კი არ დამიწერია, დაწერილი ვნახე და გავლექსეო. თუ ასე არ მოქცეულიყო შოთა, მის პოემას სრულებით მოსპობდნენ. სხვა ტაეპებშიც აქვს ეს აზრი გატარებული, მაგრამ იმავე მოსაზრებით. მნიშვნელოვანია აგრეთვე ტაეპები: 1573:

„ქართველთა ღვთისა დავითის,
ვის მზე მსახურებს სარებლად.
ესე ამბავი გავლექსე
მე მათად საკამათებლად...

და 1574 „დავითის ქნარი ვითა ვსთქვენე, სიჩალხე, სიხაფათენი..

გარდა ამისა, ბროსეც, ჩუბინაშვილიც და თვით მარიც 1910 წელს გამოცემულ თვისს შრომაში რუსთველს თამარის კარის მგოსნად სთვლის. I გვერდი: Поэтъ написалъ для „Забавы царицы Тамары“, а поэма стала общенародною и проникла во всѣ слои населенія и подъ ея вліяніемъ слагались чисто народныя пѣсни“. ასე ბრძანებდა ბ-ნი აკადემიკოსი 1910 წელში. ახლა კი რუსთაველი თვისი „ვეფხის ტყაოსნითურთ მეთოთხმეტე საუკუნეში გადაჰყავს. ძალა აღმართს ხნავს!

შეუძლებელი უნდა იყოს ის მოსაზრებაც, ვითომ შოთა სომხურ „აშოთანიდგან წარმომდგარიყოს და ისიც მეთოთხმეტე საუკუნეში. შოთა ისტორიული პირია. 1177 წ. თამარის მამამ, გიორგი მეფემ მოაკვლევინა შოთა არტავაზისძე; მეორე შოთა კუპრი ცნობილი პირია რუსუდან დედოფლის დროს. ერთ შოთას ხელი უწერია 1190 წელს ერთ დოკუმენტზე, რომელიც სასინოდო კანტორას ეკუთვნის და აზის № 64.

მაშასადამე, „შოთა“ ისტორიული პირია და ცნობილი მე-12 და მე-13 საუკუნეშიც და იმის მტკიცება, რომ ვითომ ეს სახელი მე-14 საუკუნეში წარმომდგარიყოს სომხურიდან, არა გვჯერა და ვერც ვინმე დაგვაჯერებს.

მეორე: რუსთველი მუსულმანი იყოვო და „ვეფხის ტყაოსანი“ მუსულმანიზმით გაჟღენთილიაო. ქრისტიანული მასში არა იპოვება რაო.

ვნახოთ, თუ რას წარმოადგენს ამ მხრივ „ვეფხის ტყაოსანი“, ესე იგი, მაჰმადიანური მეტია შიგ, თუ ქრისტიანული.

„ვეფხის ტყაოსნის“ 180 ტაეპში იხსენება ღმერთი სხვა და სხვა ნაირი ფორმით: 2 ტაეპი: ჰე, ღმერთო ერთო, შენ შექმენ სახე ყოვლისა ტანისა... 119 ტაეპი „რად ემდური ღმერთსა... 141 ტ. „ღმერთო, ბნელი განმინათლე... 162 ტ. თუ ღმერთმა სრულად არ დამკარგა... 399 ტ. „თუ ვეცრუო, ღმერთმა მიწად მქნას: 455 ტ. „ღმერთი ვინადგან შეუნდობს შეცოდებასა... 516 ტ. „ღმერთმა აწვე რისხვა მისი ზევით ჩემს თავს გაამეხოს... 560 ტ. „ღმერთმან სახიერმან... 571 ტ. „ღმერთსა ვერას ვკადრებ... 572 ტ. „კაცსა ღმერთი არ გასწირავს... 582 ტ. „ღმერთმან მისგან ანთებული სანთელიმცა რად დაგავსო... 626 ტ. ამისა მოწმად ღმერთი მყავს... 649 ტ. „ღმერთმან რისხვით გამიკითხოს... 918 ტ. „არ ვიცი, ღმერთი რას მიზამს... 931 ტ. „მაგრამ ღმერთი არ გასწირავს, კაცსა შენგან განაწირსა... 1273 ტ. „აწ რა მესმა, შემოქმედი ვადიდე და ღმერთსა ვკონე... 1338 ტ. „კაცსა ღმერთი არ გასწირავს. . 1521 ტ. „აწ, შვილო, ღმერთმა თქვენ მოგცეთ ათას წელ დღეთა გრძელობა...

როგორც ზემორე მოგახსენეთ, ამნაირად მომართავს რუსთაველი თვისს პოემაში ღმერთს 180 ჯერ, რაც იშვიათ მოვლენად უნდა ჩაითვალოს სიტყვა-კაზმულ საერო მწერლობაში.

შეუძლებელია, ყოველივე ეს მაჰმადიანურად აღვიაროთ, პირიქით ქრისტიანული სულით არის გაჟღენთილი.

შემდეგი ტაეპები, ვგონებ, უფრო ცხადად ჰყოფს ახალ აღთქმის გავლენას შოთაზე. მაგალითად 49 ტაეპი: „ვარდთა და ნეხვთა ვინადგან მზე სწორედ მოეფინების, დიდთა და წვრილთა წყალობა შენმცა ნუ მოგეწყინების... ამ ტაეპს კავშირი აქვს მათეს სახარებასთან—თავი 5—ლექსი 45: „რათა იყუნეთ თქვენ შვილნი მამისა თქვენისა ზეცათასა: რამეთუ მზე მისი აღმოავლს ბოროტთაზედა და კეთილთა და სწვიმს მართალთაზედა დაცრუთა“.

ტაეპი 790 „ილოცავს, იტყვის: „მაღალო ღმერთო, ხმელთა და ცათაო...

სახარება მათესი თავი 11, ლექსი 25: „უფალო ცისა და ქვეყნისაო... სახარება ლუკასი თავი 10,ლექსი 21: „უფალო ცისა და ქვეყნისაო...

242 ტაეპი „ამად რომე შეცოდება შვიდ გზის თქმულა შესანდობლად“...

სახარება მათესი თავი 18 და ლექსი 21: „რაოდენ გზის შემცოდოს ძმამან და მიუტეო მას?

ვიდრე შვიდ გზისამდე?

შვიდი სამღვთო წერილში რიცხვის სისრულეს ნიშნავს. „შვიდი“ ამ აზრით არის ნახმარი „ვეფხვის-ტყაოსანშიაც“.

ტაეპი 772: „წაგიკითხავს, სიყვარულსა მოციქულნი რაგვარ სწერენ, ვით იტყვიან, ვით აქებენ, სცან, ცნობანი მიაფერენ; სიყვარული აგვამაღლებს, ვით ეჟვანი ამას ჟღერენ“.

სიყვარული ქრისტეს მოძღვრებამ აიყვანა უმაღლეს წერტილამდე და მოციქულებმა მოფინეს კაცობრიობას, აქ, აი, ამ მაღალ სიყვარულზე ლაპარაკობს რუსთველი.

ტაეპი 1023: „მართლად იტყვის მოციქული, შიში შეიქმს სიყვარულსა. ეს „ვეფხვის-ტყაოსნის“ სიტყვები ახალს აღთქმაში ამნაირად, როგორც პოემაშია, არ მოიპოვება. იოანე მახარებლის პირველ ეპისტოლეში, თავი 4, ლექსი 18 სწერია: „შიში არა არს სიყვარულსათანა... მეორე ალაგას სამღვთო წერილში ვკითხულობთ: „დასაბამი სიბრძნისა შიში უფლისა“.

ალბად გენიოსი შოთა, ზედმიწევნით ცხოვრების შესწავლის და დიდი დაკვირვების შემდეგ, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ შიში შეიქმს სიყვარულსაო. საფუძველი კი სამღვთო წერილიდან არის აღებული. ტაეპი 179: „ამ საქმეს მემოწმების დიონისი ბრძენი, ეზროს“... დიონისის სახელით ბევრნი იხსენიებიან. მაგრამ უფრო შესანიშნავნი იყვნენ: დიონისი არეოპაგიტი, ეპისკოპოზი ათინისი I საუკუნეში; დიონისი დიდი, ეპისკოპოზი ალექსანდრიის—მე-III საუკუნეში და დიონისი გადიკარნასის—I საუკუნეში, სახელოვანი ბერძენთა ისტორიკოსი, რიტორი და კრიტიკოსი. გადაჭრით არ ითქმის, სახელდობ რომელს ასახელებს შოთა, მაგრამ სულ ერთია, რომელიც უნდა იყოს, რადგანაც სამივე ესენი ქრისტიანები იყვნენ და ქრისტეს მოძღვრების გავრცელებას უწყობდნენ ხელს. ეზროს—ეზრა ძველის აღთქმის პირია, მაგრამ, მოციქულისა და წინასწარმეტყველის მსგავსად, პატივცემულია ქრისტიანულ ეკლესიის მიერ. ამიტომ ამ ორივე პირის: დიონისის და ეზროს შეყვანა პოემაში ქრისტიანობის ელფერს აძლევს ამ პოემას და „ვეფხვის-ტყაოსნის“ დამწერის ქრისტიანობას მოწმობს და არა მის მაჰმადიანობას.

გარდა ნათქვამისა ბევრი სხვა მსგავსებაც არის „ვეფხის-ტყაოსნის“ და ახალ აღთქმის შორის, თუმცა რუსთველს პირდაპირ არ მოჰყავს ადგილები ახალ აღთქმიდან, რაც ქრისტიან მქადაგებლის წესია და არა საერო მგოსნის. ყველა ურწმუნოს ვურჩევ, თვითონ დარწმუნდეს. ამისათვის კი საჭიროა მთელი ახალი აღთქმის გადაკითხვა და შედარება „ვეფხვის-ტყაოსანთან“.

„ვეფხვის-ტყაოსან“-ში გახლავთ კიდევ საბუთები შოთას ქრისტიანობის სასარგებლოდ. მაგ. ტაეპები: 468, 1143, 1145, 1055, 1535. ამ ტაეპებში მთვრალობა-ლოთობაზე და ღვინოზეა საუბარი. ნუ თუ მაჰმადიანი მგოსანი მთვრალობა-ლოთობაზე და ღვინოზედ ისაუბრებდა და ისიც საშუალო საუკუნოებში, როდესაც სარწმუნოებრივ ფანატიკოსობას საზღვარი არ ქონდა?

აღნიშნული ფაქტები თვალსაჩინოდ მოწმობენ შოთას ქრისტიანობას. ვისაც არა სურს გაგება და უარყოფითი გზას არ შორდება, იმისთვის სრული ჭეშმარიტებაც საეჭვოა. მურვან-ყრუ ყრუ არ იყოო, მხოლოდ არ გაიგონებდა, რაც არ სურდაო, ამბობენ.

ახლა ვიკითხოთ, ვინ იყო შოთა? სომეხი, მუსულმანი, თუ ქართველი?

შოთა იყო ქართველი.

სხვათა შორის, შოთას ქართველობას ამტკიცებს შემდეგიც: ტაეპი 21: „მაშინღა ნახეთ მელექსე და მისი მოშაირობა, რა ველარ მიხვდეს ქართულსა, დაუწყოს ლექსმან ძვირობა, არ შეამოკლოს ქართული, არა ქმნას სიტყვა-მცირობა და ხელ-მარჯვედ სცემდეს ჩოგანსა, იხმაროს დიდი გმირობა“. ტაეპი 704: „ყმატკბილი და ტკბილ-ქართული სიკეთისა ხელის მხდელი“...

თუ შოთა ქართველი არ იყო, რად უფრთხილდებოდა ქართულს? შოთა იმიტომ ამბობდა, მგოსანმა არ შეამოკლოს ქართული, არა ქმნას სიტყვამცირობაო, რომ თვითონ ქართველი იყო და წარჩინებულად მცოდნე ქართულ ენის, და ქართველ მელექსეთაგანაც ამასვე თხოულობდა.

ახლა ვნახოთ, მუსულმანური რა არის „ვეფხვის-ტყაოსანში“.

გარდა თითო სიტყვისა: მუყრანი, მულიბნი, უსტარი, მუსაფი და სხვა... და ერთ სათაურში იხმარება სიტყვა „მიგზითას“.

„ლოცვა ავთანდილისაგან მიგზითას და გაპარვა მისი“.

ეს სიტყვა „მიგზითას“ ტექსტში არ მოიპოვება, მხოლოდ სათაურშია. ალბად გადამწერმა თვისი ფანტაზიის მეოხებით შეიტანა სათაურში, რადგანაც ქვემოდან ტექსტში, ტაეპი 803 მოყვანილია ლოცვა:

„ილოცავს, იტყვის: „მაღალო ღმერთო, ხმელთა და ცათაო. ზოგჯერ მომცემო პატიჟთა, ზოგჯერ კეთილთა მზათაო, უცნაურო და უთქმელო, უფალო უფლებათაო...

ომმა შეუცვალა მას ეს ასპარეზი და გადაჩეხა იქ, სადაც შეუწყვეტლად იფრქვევა ცოცხალ ძალთა სისხლის ოკეანე, და ვინ იცის, ვინ იტყვის იმას, თუ ამ ნორჩ, მოზარდ თაობიდან, რომელიც შეადგენს ქვეყნის და ყოველი ერის იმედ-სასოებას, ბრწყინვალე მომავალს, კიდევ რამდენ სიცოცხლით აღსავსე ახალგაზდას უმიზნოდ შეიწირავს ომის ღმერთი. და რამდენს წარიტაცებს სისხლის ღვრის მოედანზე ძნიად ქროლვით ომის ქარიშხალი?!. ვინ იცის, რას განიცდიან ჩვენი ამხანაგები იქ, შორეულ მხარეს, მოშორებულნი სამშობლოს, მშობლებს და მახლობელთ? დაბრუნდებიან თუ არა კვლავ სიცოცხლით სავსე არსებით თვის ქვეყნის და ერის ინტერესების მტკიცე დამცველად და ქომაგად?

ვინ იცის! დიახ, ვინ იცის?!

⁂

ვარშავის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტების ცხოვრებაში მეტად შემაძრწუნებელ სურათებს აქვს ადგილი. ეს მკრთალის სახის სურათები ომით გამოწვეულ სიძვირის შედეგია. წინედ, თუ სტუდენტი 30 მანეთად აკმაყოფილებდა თვის ყოველთვიურ მოთხოვნილება-საჭიროებას, დღეს ეს ფული მხოლოდ ოთახის ქირაა. ოთახი, რომელიც მშვიდობიანობის დროს 8—10 მანეთად ქირავდებოდა, დღეს სამ თუმნადაც ძნელი საშოვნია. გარდა ამისა, უნდა აღვნიშნო ის სამწუხარო ფაქტი, რომ ამ პატარა ქალაქში სტუდენტები ღირსეულ პატივისცემას მოკლებულნი არიან საზოგადოების მხრივ. მის თვალებში სტუდენტის პიროვნებას არ აქვს ის ფასი, რომელიც ჰქონდა ერთ დროს. სტუდენტობა—ეს მტკიცე საძირკველი ქვეყნის მომავალისა—შელახულია როსტოვის საზოგადოების მიერ, იმ საზოგადოების, რომელიც დღესდღეობით ცდილობს საკუთარ უნივერსიტეტის გახსნას. ხშირად ოთახსაც არ აძლევენ მათ. დასათვალიერებლადაც არ უშვებენ, ამის გამო სტუდენტები დიდ გაჭირვებას განიცდიან.

დღეს რომ სტუდენტმა უზრუნველ ჰყოს თვისი არსებობა, შორეულ ჩრდილოეთში, ყოველ თვიურად მისთვის 80—100 მ. აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს. რასაკვირველია, აქ მხედველობაში არ მაქვს სწავლის და ლექციების ფული. საუბედუროდ, ქართველ სტუდენტებში, რომელთა რიცხვი აქ 40 აღემატება, არავინაა ისეთი, თვიურად ხუთ თუმანზე მეტს რომ იღებდეს, რის გამო ისინი იძულებულნი არიან, რაც შეიძლება დიდი ეკონომია გასწიონ ცხოვრებაში-ერთი ოთახი სამმა დაიქირავოს, სადილად მხოლოდ ერთი თავი სჭამოს და სხვა. მათსა შორის არიან ისეთი ელემენტებიც, რომლებსაც თვიურად 20—25 მანეთი მოსდით. ცხადია, რომ ასეთ პირობებში მყოფი ქართველ სტუდენტისათვის ცხოვრება მეტად აუტანელი უნდა იყოს და სამძიმო. ეს სწორედ ასეა. ასეთი სტუდენტი თვისი მცირე თანხით იძულებულია ოთახი დაიქირავოს ქალაქს გარეთ, სადმე შორს, იაფ ფასიანი და იქ მოემწყვდიოს, რათა სადილისა და სხვა საჭიროებისათვის ფული დარჩეს. კარგია, რომ აქ არსებობს სტუდენტთა სასადილო, რომელიც დიდ დახმარებას უწევს ღარიბ სტუდენტებს. უნდა ითქვას სიმართლე, რომ ეს მატერიალური გაჭირვება უფრო ქართველ სტუდენტებს შორისაა და მეტად ხელს უშლის მათ მეცადინეობაში. უეჭველია, რომ ასეთ პირობების შესამსუბუქებლად საჭირო იყო შესაფერ ზომების მიღება, რამე საშუალების აღმოჩენა. და სწორედ ამისთვის მზრუნველობას შეუდგნენ ჩვენი სტუდენტები. სასადილოსთან დაარსდა „დამხმარე კასა", რომელიც საშუალებას აძლევს ქართველ სტუდენტს ყოველ დღე ისადილოს. ამ მხრივ ყოველი ქართველი სტუდენტი უზრუნველყოფილია. მაგრამ, მხოლოდ ეს წყარო, რასაკვირველია, დიდ დახმარებას ვერ აღმოუჩენს გაჭირვებულთ. ამიტომ საჭირო იყო მეორე, უფრო რთულ ხასიათის წყარო, რომელიც სხვა მოთხოვნილებათა დამაკმაყოფილებელი საშუალება იქნებოდა. მაგ. სწავლის ფულის შეტანა, ტანისამოსის შეძენა და სხვა. მეორე წყარო იყო აქ არსებული „ქართული საზოგადოებასთან" მტკიცე კავშირი და მასთან ერთად ჰარმონიული მუშაობა. ვერ დავფარავთ იმას, რომ „ქართული საზოგადოება" ცდილობს აქტიური მონაწილეობა მიიღოს ქართველ სტუდენტთა მატერიალურ ცხოვრების გაუმჯობესობაში. მან ეს საქმითაც დაამტკიცა. პირველ ქართულ წარმოდგენის წმინდა შემოსავალი გადაეცა ღარიბ სტუდენტებს. იანვრის დამლევს ეს საზოგადოება მართავს ქართულ წარმოდგენა-კაბარეს სტუდენტებისავე სასარგებლოთ. ერთის სიტყვით, სამოქმედო ასპარეზზე გამოსული „საზოგადოება" დღეს უკვე მხოლოდ ლამაზ სიტყვებით არ კმაყოფილდება და ჩვენა ვხედავთ ნათლად, რომ ის თვისის დანიშნულების და მოვალეობის აღსრულებას შესაფერისად აპირებს. ქართველი სტუდენტობა ამ „საზოგადოებას" გვერდს ვერ აუხვევს, პირიქით, აუცილებლად საჭიროა რაც შეიძლება, ერთგული, შეთანხმებული მუშაობა მასთან. „ქართული საზოგადოების" გარდა აქ კერძო პირებიც დიდ დახმარებას უწევენ სტუდენტებს. მაგალითად, ქართველი სტუდენტები ვერასოდეს დაივიწყებენ ექიმ ვ. ა. გაბისონიას შრომას, რომელიც თავის ხარჯზე სწამლობდა ავადმყოფ ქართველ სტუდენტებს. სიტყვით გამოუთქმელ მადლობის ღირსია ექიმი ვ. გაბისონია, რომელმაც ღრმად ჩაიხედა ქართველ სტუდენტების ცხოვრებაში, ჩადგა მათს წრეში და მუდამ მზად არის სამსახური გაუწიოს მათ. სტუდენტების მხრივ მადლობის ღირსია აგრეთვე ექიმი ნ. გ. ჭიჭინაძე, რომელიც უფასოდ სწამლობდა რამოდენსამე სტუდენტს...

ჩვენ ერთხელ კიდევ გამოვსთქვამთ სურვილს ღრმა კავშირისას სტუდენტებსა და „ქართული საზოგადოების" შორის. ამასთანავე საჭიროა, რომ ქართველი სტუდენტები ყოველ თვეში „სასოგადოების" ინიციატივით გამართავდეს ქართულ საღამო-წარმოდგენების ღარიბ სტუდენტთა სასარგებლოდ.

⁂

რას აკეთებენ ქართველი სტუდენტები დონის როსტოვში? როგორია მათი კულტურულ ყოფას ხასიათი? არსებობს თუ არა რომელიმე წრე ან პოლიტიკური ან ლიტერატურული?..

ვარშავის უნივერსიტეტში მუდამ ცოტა იყო ქართველი სტუდენტების რიცხვი. მიზეზი ამისა ყველამ იცის. დღეს თუ ამ უნივერსიტეტში ორმოცზე მეტი ქართველი სტუდენტებია, მიზეზი ამისა იგივე ომია. სწორედ ომის შედეგი იყო ის განკარგულება, რომელმაც ქართველები მხოლოდ აღნიშნულ უნივერსიტეტს შეაკედლეს.

ეს ორმოცი კაცი სტუდენტები სულ ახალგაზდებია. მათს რიცხვში მხოლოდ ოთხია ძველი სტუდენტი. და თუ ვარშავის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტოა ცხოვრება პოლიტიკურსა თუ სხვა რომელსამე სფეროში ინტენსიურად არ მიდის, ამის მიზეზი უმთავრესად გამოუცდელობას უნდა მივაწეროთ. მათ, როგორც ახალ სტუდენტებს, ჯერ კიდევ ფართო ხასიათის საქმიანობას ვერ მოვთხოვთ. არ დავფარავ, რომ პირველ ხანებში მათი ყოფა უფერო იყო, მას აკლდა საჭირო შინაარსიანობა, ცხოვრება თითქოს მიდუნებულ-მიძინებული იყო და აქტივობის, ენერგიულ შრომის, მეცადინეობის სურვილის ნასახიც კი არსად სჩანდა. მაგრამ, საბედნიეროდ, ამ პასივობამ დაჰკარგა თვისი სახე და სინამდვილის მიერ წამოყენებულმა საკითხებმა ქართველი სტუდენტობა მოქმედების გზაზე გამოიყვანა, გამოაღვიძა და იძულებული გახადა ამ რთულ საკითხაბისთვის შესაფერი პასუხი გაეცა, გამოხმაურებოდა.

თუ წინედ ქართველ სტუდენტთა წრეები ვერ ვხედავდით სურვილს ენერგიულ მუშაობისას, დღეს უკვე გამოღვიძებული და შეგნებული თაობა ცდილობს შესაფერისად იმუშაოს სხვა და სხვა სფეროსა და დარგში... ვარშავის უნივერსიტეტთან არსებული სამეცნიერო წრე არჩილ ჯორჯაძის სახელობისა უკვე განაგრძობს თავისის დანიშნულების აღსრულებას. გარდა ამისა არსებობს აგრეთვე ერთი პატარა წრე, პოლიტიკურის ხასიათისა, რომლის მიზანს შეადგენს გაეცნოს ჩვენი ქვეყნის დღევანდელ ჭირვარამს და აუცილებელ საჭიროებათ.

სტუდენტები იკრიბებიან ჯგუფ-ჯგუფად და ჩვენის მწერლების ნაწერებს ეცნობიან. ამასთანავე „ქართულ საზოგადოების" ინიციატივით და დახმარებით მართავენ ქართულ წარმოდგენა-საღამოებს. ამ რიგად, ცხადია, რომ ვარშავის უნივერსიტეტის ქართველი სტუდენტობა უკვე იწყებს გამოსვლას სამოქმედო ასპარეზზე. სურვილი, და თუ ის არის, მწამს, ყოველივე მიზნის განხორციელება ადვილია.

გვწამს, რომ გამოღვიძებული ქართველი სტუდენტობა განაგრძობს დაწყებულ საქმეს, განაგრძობს შეთანხმებულად, მთელის სულით და გულით შეიყვარებს იმ საქმეს, რომელსაც ხელი ჩაჰკიდა, იმ გზას, რომელსაც დაადგა. სასურველია, რომ პირადი ინტერესები მუდამ დაჩრდილულ იქმნეს იქ, სადაც საერთო კეთილი საქმე კეთდება.

ფრანც-მოორი.

მცირე გაუგებრობა

წინასწარ ბოდიშს ვიხდი: უხერხულია, ავტორი თავის ნაწარმოებზედ ლაპარაკობდეს, მაგრამ ის თამამი ბრალდება, პატივ. კრიტიკოსმა აკ. პაპავამ რომ დაგვდო, გვაიძულებს ვსთქვათ, რომ პირადად ჩვენ არასოდეს დაგვიშვია ასეთი „პოეტური თვითნებობა". აღნიშნავს რა ჩემს ღირსებებს (ხ. „სახ. ფურც." № 733, „წლის ნაკვთები" აკ. პაპავა), პატ. კრიტიკოსი დაბოლოს ერთს ჩემს „ცრემლიან ლექსს" ადარებს პოეტ ბოდენშტედტის ლექსს და მართლაც არა თუ დიდს, არამედ სრულიად (ლექსის სხეულში) შემსგავსებასაც ჰპოულობს მათს შორის. გულახდით ვაღიარებთ: არასდროს არ დაგვჭირებია სხვისი მოშველება და ზემოხსენებული „ცრემლიანი ლექსი" სულ უბრალო შემთხვევამ გამოიწვია, რაიცა პოეტის საიდუმლოებას უნდა შეადგენდეს და რასაც, რასაკვირველია, აქ ვერ მოვიხსენიებთ. ჩვენ კი არა თუ ბოდენშტედტს არ ვიცნობთ, ამნაირი ლექსიც კი არ გაგვიგია, რომ ყოველშემთხვევაში მაინც წაგვეკითხოს და გონებაში ჩარჩენილი უცაბედად ჩვენად გამოგვემჟღავნებინოს, ხოლო რაც შეეხება „შეგნებულ დაუდევრობას" ანუ პლაგიატობას, ჩვენ ისე არ დავცემულვართ ზნეობრივად, რომ ეს გვესაქციელოს. პირადად ჩვენ სრულიადაც არ გვაკვირვებს ამნაირი მიმსგავსება. ამგვარი მაგალითები არც ისე ძვირია პოეზიაში. მაგალითისთვის დავტრიალდეთ ჩვენში. ყველა თქვენ მიერ გარჩეულს მგოსანს „წლის ნაკვთებში" და თუნდაც თქვენ მიერ ესოდენ საყვარელ ი. გრიშაშვილსაც („ეცი ოლოლ!" ტალღების კონცერტზე" და სხ.) დაჰმართნია ასე. კრიტიკოსი განაგრძობს,—„ამას გარდა პოეტს სათაურით „მებაღე"-დან უთარგმნია რაბინდრანათ ტაგორეს ლექსი, მაგრამ ეს არ აღუნიშნავსო". მართალია, ჩვენ რამდენიმე თარგმანი დავბეჭდეთ თაგორედან გაზ. „საქართველოში" და ერთი თარგმანი ასე გამოვაცხადეთ: „მებაღე"-დან 7. გვეგონა ესეც საკმაო იყო, რადგან წინადაც გვეთარგმნა ავტორის სახელით და გვეგონა „მებაღე", როგორც დიდად პოპულიარული სახელი საკმაოდ ყოფილიყო, მეორე დღითვე მეგობარ ლიტერატორებმა „სამართლიანი" გულ სწყრომით მომმართეს და მეც შემდეგ თარგმანები იმ სიფრთხილით, რომ რომ ამით ვისმე არ დაებრალებინა ჩემთვის რაიმე ანგარიში ანუ განგება, ჩვეულებრივ წაუმძღვარე შაბლონი: სათაური წიგნისა, რიცხვი, ავტორი და სხ., თუმცა ჩვენში ისეთი ბეცი არავინ რომ ტაგორე და ლეონიძე ერთმანეთში ვერ გაარჩიონ.

გინდა ასე დავმცირებულიყავით ზნეობრივად, ჩვენ გვგონია, ამას არას გზით არ დაუშვებდა თავის ორგანოში რედაქტორი—მგოსანი სანდრო შანშიაშვილი, რომლის რჩევით ვთარგმნეთ თვით ის ზემოხსენებული ლექსიც, და რომელიც ჩვენში ტაგორის უპირველეს მცნობად და მთარგმნელად ითვლება.

ფრიად ვწუხვართ, რომ ჩვენ მიერ საყვარელმა კრიტიკოსმა ასე თამამად და „საქმის გაუჭვრეტლად" შეგვიდგინა საბრალმდებლო ოქმი და მით „ერთგვარი" შეურაცხყოფა მოგვაყენა ორივე შემთხვევაში.

გ. ლეონიძე.

ღია წერილი

ბ-ნ გრიშა ურატაძეს

„დრო იცვლება და თქვენც მასთან იცვლებით", ეს ლათინური ანდაზა თქვენზე გამახსენდა: ერთი წლიწადია უმოწყალოთ მაწვალეთ საჩივრებით; ის ხმები, რომელიც საზოგადოებაში გავრცელდა, ვითომც ნესტორს ქრთამები დაეხარჯოს დაბა ლანჩხუთში საზოგადოების აფთიაქის დაარსების წინააღმდეგ, ეცადეთ უმართლოდ ჩემთვის მოგეხვიათ.

საოლქო სასამართლომ უკვე გამამართლა შვიდი დღით ციხეში ჯდომისაგან. კიდევ ერთხელ დაგეკითხებით: კეთილ ინებებთ თუ არა პრესის საშუალებით ბოდიში მოიხადოთ ჩემთან, როგორც უმართლოდ დასჯილ ადამიანთან; წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნები თქვენგანვე ნასწავლების გზით გიჩივლოთ უმართლო ცილის წამებისათვის. თან გადაგახდევინებთ იმ 400 მანეთსაც, რომლის გადახდა სასამართლომ მოგიაჯათ ჩემს სასარგებლოთ, და ამ ფულს ერთ-ერთ ქართულ დაწესებულებას შევსწირავ. ბოდიშისათვის ათის დღის ვადას გაძლევთ.

ფერშალი ექვთიმე ორაგველიძე.

ჩვენი ფოსტა

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ[illegible] გმადლობთ. გაზეთი გამოგეგზავნებათ.

მოსკოვი. ი. ხან—შვილს. წერილებისათვის გმადლობთ. კვლავაც მოგვაწოდებდეთ ხოლმე. თქვენი დიდი წერილი დაიბეჭდება თებერვლის შუა რიცხვებში.

ფოთში ა. თ—ძეს. ვერ გამოვიყენეთ.

ბაქო გ. მუ—ძეს. ის ცნობა „Зак. Р."-დან ამოვიღეთ.

ველისციხე. ი. ხა—შვილს. მივიღეთ, გმადლობთ, დაიბეჭდება.

შულავერი. მ. სა—შვილს. უხერხულად მიგვაჩნია, რედაქციას მოვსთხოვოთ ის ფული. ახლა ალბათ მოგდით კიდეცა გაზეთი.

არტაანში. კ. ოდ—ას. დაიბეჭდება, გმადლობთ.

თელავი, შუამთელს. დეპეშების ბარათები არ მოგვსვლია.

ქუთაისი. ნ. დგებუძეს. გეგზავნებათ თქვენის წერილის თანახმად. მოიკითხეთ „იმერეთში".

რედაქტორ-გამომცემელი
სანდრო შანშიაშვილი

ამიერ-კავკასიის რკ. გზის

მატარებლების მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია თფილისის)

თბილისიდან გადის:

ბათუმისაკენ	საფ.	№ 3,	11.03	დილ.
„	სამგზ.	№ 9,	10.33	საღ.
ბორჯომისაკენ	სამგზ.	№ 19,	3.20	დღ.
„	„	№ 17,	8.27	დილ.
გორისაკენ	სამგზ.	№ 61,	9.10	დილ.
ბაქოსაკენ	ჩქარ.	№ 6,	11.18	დილ.
„	სამგზ.	№ 8,	3.54	დღ.
„	საფ.	№ 4,	9.28	საღ.
ყარსისაკენ	სამგზ.	№ 4-3,	11.13	საღ.
თელავისაკენ		№ 4,	8 „ 58	„ დილ.

თფილისში მოდის:

ბათუმიდან	სამგზ.	№ 10,	9.52	დილ.
„	საფ.	№ 4,	8.38	საღ.
ხაშ.-ბორჯ.	სამგზ.	№ 20,	7.43	დილ.
„	სამგზ.	№ 18,	10.12	საღ.
გორიდან	სამგზ.	№ 62,	6.34	საღ.
ბაქოდან	საფ.	№ 3,	10.08	დილ.
„	სამგზ.	№ 7,	4.12	საღ.
„	ჩქარ.	№ 5,	8.48	საღ.
თელავიდან		№ 3,	6 24	საღ.
ყარს-ჯულფ.	საფ.	№ 3***,	8.10	დილ.

გარდა ამისა „ვეფხვის-ტყაოსნის" ავქსონის მაჰმადიანობის დამამტკიცებელი ამ პოემაში უფრო თვალსაჩინო არა მოიპოვება-რა.

მაშასადამე. სარწმუნო და მისაღები არ არის ის აზრი, ვითომ შოთა რუსთველი, დამწერი „ვეფხვის-ტყაოსნის," მაჰმადიანი ყოფილიყოს.

მესამე აზრი: „ვეფხვის-ტყაოსნის" ახლანდელი ტექსტი შერყვნილია და ეს მოახდინა ქართულმა ეკლესიამაო.

მართალია, რომ შერყვნილია „ვეფხვის-ტყაოსნის" ტექსტი, მაგრამ ქართული ეკლესია აქ რა შუაშია. თუ ქრისტიანობის წინააღმდეგს რამეს ხედავდა „ვეფხვის-ტყაოსანში" ეკლესია და ტექსტი შესცვალა? იმაზე უარეს რას ნახავდა ამ პოემაში, რასაც დღეს ვხედავთ შიგ! მაგალითად: 10 ტაეპი:

„მძულს უგულოდ სიყვარული, ხვევნა, კოცნა, მტლაშა-მტლუში"...

მე-15 ტაეპი:...

მე რუსთველი ხელობითა ვიქ საქმესა ამა დარი. ვის მორჩილებს ჯარი სპათა, მისთვის ვხელობ მისთვის მკვდარი, დავუძლურდი მიჯნურთათვის, კვლავ წამალი არსით არი; ანუ მომცეს განკურნება, ანუ მიწა მე სამარი".

აგრეთვე არშიყობა ავთანდილის და ფატმანისა... ტაეპი 1093.

თუ მართლა ეკლესიამ შეასწორა „ვეფხვის-ტყაოსნის" ტექსტი იმიტომ, რომ მასში ქრისტიანობის ან თამარის საწინააღმდეგოს და დასამცირებელს რამეს ხედავდა, ეს საამშიყო ტაეპები და სხვაც ამ გვარი რად დასტოვა პოემაში, რატომ არ განდევნა?

ეს ცილის წამებაა. ეკლესიას „ვეფხვის-ტყაოსნის" ტექსტი არ შეუცვლია. ტექსტი თუ შეცვლილია, ამაში დამნაშავენი უნდა იყვნენ გადამწერნი, რომლებიც ულმერთოდ ძიძგნიდნენ „ვეფხვის-ტყაოსანს", ხან ჩაუმატებდნენ რამეს, ხან გამოაკლებდნენ და ხან თავის ნებაზე ასწორებდნენ ტექსტს. ამნაირად უნდა შერყვნილიყოს „ვეფხვის-ტყაოსნის" ტექსტები.

ვერც დაბეჭდილი „ვეფხვის-ტყაოსნის" ცალები ასცდა ამ მოვლენას. 19 გამოცემა მაქვს და ყველანი განსხვავდებიან ერთი მეორისაგან. როდესაც მე-20-ცე საუკუნეში განათლებულნი პირნი არ უფრთხილდებიან ტექსტის გარყვნას, ოთხას-ხუთასი წლის წინად, სიბნელის ჟამს, ვინ გაუფრთხილდებოდა! ვინ რა იცოდა!

მკითხველის ყურადღებას მივაქცევ შემდეგ გარემოებასაც: ტაეპებში: მე-7 და მე-16-ში სტრიქონები: დავსჯე რუსთველმან, გავლექსე... და „ვპოვე და ლექსად გარდავთქვი, საქმე ვქმენ საჭოჭმანები... ზოგიერთს გადაუკეთებია თავისებურად ასე: „დავსჯდე რუსთველი ვლექსვიდე..." და „ვპოვე და ლექსად გარდავთქვა, საქმე ვქმნა საჭოჭმანები.. გაცილებით უსწორებია და უმართლესი პირველი ფორმები ზმნების: დავსჯე, გავლექსე, გარდავთქვი, ვქმენ. ეს ფორმები ზმნათა ნამყო სრულისაა და გამოხატავს შესრულებულ მოქმედებას და ასეც უნდა იყოს. ნუ თუ რუსთაველმა არ იცოდა, მის მოქმედებას რომელი დრო შეეფერებოდა! ან რა შემატა გადამკეთებელმა ამით პოემას? სრულიადაც არაფერი. გარდა გადამახინჯებისა, არევისა და გასაგებად გაძნელებისა.

ჭეშმარიტება „მგონიაზე" არ უნდა იყვეს დამყარებული და არც უნდა იცვლებოდეს მარტის დღესავით.

ბოლოს, რამდენიმე სიტყვა პუბლიცისტურ პროვოკატორობაზე.

ამ რამდენიმე დღის წინად ჭრელი პუბლიცისტი გამოექომაგა რუსთაველის შესახებ ახლად გამოქვეყნებულ აზრს და, სხვათა შორის, სთქვა თავისს წერილში:

„ჩვენი საზოგადოების იმ ნაწილს, რომელიც გამწვავებულია უაზრო სიძულვილით სომხებისადმი, ვერ მოუთმენლებია, როდესაც ქართველს სომეხს ამოუყენებენ გვერდში, ქართველის და სომხის ნათესაობას ლაპარაკობენ"-ო.

ჩვენმა პუბლიცისტურმა უხერხულად დიდი ნახტომი ჰქმნა.

ვინ არის ნეტა, უაზრო სიძულვილით რომ ეჯავრებიან სომხებს, თუ ღმერთს არ გაუჩენია ეს ჩვენი პუბლიცისტი?! როდის ეჯავრებოდნენ ერთმანეთს ქართველები და სომხები უაზროთ ან სიძულვილით, ან სიყვარულით? ან აქ რა მოსატანია ქართველ-სომხების დამოკიდებულება ურთიერთშორის, როცა საკითხი სულ სხვას ეხება!

ლექტორი ამბობს სახელი „შოთა" მე-XIV-ტე საუკუნეში წარმოსდგა სომხურ „აშოთან"-ნიდანო. შოთა კი ისტორიული პირია. ის ცნობილია მე-12—13 საუკუნოებში.

ლექტორი ამასაც ამბობს: „შოთა მაჰმადიანი იყოო". ჭეშმარიტად არც პირველი მიგვაჩნია და არც მეორე: პირველსაც ვგმობთ და მეორესაც. მაგრამ იმიტომ კი არა, რომ სომხები ან მაჰმადიანები გვძულდეს, არამედ იმიტომ რომ, აკადემიკოსმა ვერცერთი თავისი მოსაზრება შოთას ვინაობის და მისი პოემის შესახებ ვერ გაამართლა. ვერ მოიპოვა მტკიცე საბუთი და თვისს დიდ პიროვნებაზე ამყარებს ყოველივეს; დიდი ვარ და ჩემი ყოველივე დაიჯერეთო, გვიბრძანებს. და ამის მეოხებითაც მარტის დღესავით იცვლება მისი აზრი „ვეფხვის ტყაოსნის" და მისი ავქსონის შესახებ. 1910 წელს შოთა თამარის კარის მგოსნად აღიარა, 1916 წელს კი მე-XIV-ტე საუკუნის მწერლად მონათლა.

ერთი სიტყვით, ვერ დააკმაყოფილა როგორც მთელი ქართ. საზოგადოება კერძოდ, აგრეთვე ის ნაწილიც ქართ. საზოგადოებისა, რომელსაც უსინდისოდ დასცინის ჩვენი პუბლიცისტი. ამიტომ აქ რა შუაშია ნაციონალური თავმოყვარეობა, როგორც ზოგიერთთა ჰგონიათ.

ქართველები ყოველთვის კვლევაძიების და ახალი იდეების მოტრფიალენი იყვნენ და არიან, მაგრამ არა სარწმუნოს და „მგონია"-ზე დამყარებულს ჭეშმარიტად არ მიიღებენ, ვინც უნდა იყოს მისი ავქსონი.

ამიტომ სრულ ნებას ვაძლევ ჩემს თავს ვსთქვა შემდეგი: ჩვენი პუბლიცისტი „სიტყვა" სალ ჭკუა გონებაზე არ უნდა ყოფილიყოს იმ დროს, როდესაც წამოიძახა: ქართველი საზოგადოების ნაწილი უაზრო სიძულვილით ეჯავრება სომხებს და იმიტომ ვერ მოუთმენლებია, როდესაც ქართველს სომეხს ამოუყენებენ გვერდით, ქართველის და სომეხის ნათესაობას ლაპარაკობენო.

პუბლიცისტის ამ ნაირი საქციელი ერთნაირ „პრავაკატორობად" უნდა ჩაითვალოს.

გ. იმნაიშვილი.

ქ. თბილისში დაარსდა
მელნის ქარხანა
„ალაროდია"
ამზადებს საუკეთესო საკანცელარიო მელანს,
ალიზარინის ფერისას
ლაზარეთებს და სამხედრო დაწესებულებებს შეღავათით დაეთმობათ.
მელანი პირის გადასაღებადაც (კაპიროვკა) კარგია.
დაკვეთა დაუყოვნებლივ სრულდება
ადგილობრივ თუ გაგზავნით.
საჭიროა აგენტები, როგორც თბილისში, აგრეთვე სხვა დაბა ქალაქებშიაც.
მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქუჩა, № 16, „ალაროდია".
(ო.—228—თ.)

„სავაჭრო სახლი" (საჩუქრი)
ძმ. ივ. ჭაჭანიძისა და
ი. ი. გველესიანისა
იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.
იყიდება პარტიობით უჩვეულო საგალანტერეო საქონელი:
ჩულქოულობა, კოლგები, თეთრეულობა, ვიზიტები, კოსმეტიკა
და სხვა და სხვა ახალმოდის საქონელი ზედმიწევნით ხელმისაწვდომ ფასებში
სხვა და სხვა ხილის კოოპერატივებისთვის.
(101—ფ.)

თევზის მრეწველნი
ძმ. ძეძველოვები
პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ., № 9, ტელეფონი № 712.
ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „დ. მაილოვის-ზეით, სამრეწველოებიდან ახალი ქვერთის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „მეშიხნი" ხიზილალა. მივიღეთ საუკეთესო სალონის შამპიონ მუდამ ცოცხალი თევზი. აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გამქვ აგრეთვე მიიღება ყოველგვარი კონსერვები და სარდინქები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმების ხანგრძლივ იჩხება.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან
სტამბა „ცხოვრება" ა. კალანდაძისა, გაბაევის შესახვევი № 4